ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

16 ივნისიდან!

ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 1

ამერიკული ზღაპრები

@ ქფჰბ უფპტსსფყ ტჰსფლ




ჯჰიფ,ფსბ7 ! ბდყბცბ7 )!§ 1140 (6451) აფცბ5 №) სტსჰბ

# თბილისში მეორე ტური იქნება?

## დავით ნარმანია ლიდერობს გვ.5





სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა გერმანული კომპანია ჯფკ-ის მიერ ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები გამოაქვეყნა. პირველადი მონაცემებით, ამომრჩეველთა ხმები ასე გადანაწილდა:

1. დავით ნარმანია 46,3%;
2. ნიკა მელია 27,2%;
3. დიმიტრი ლორთქიფანიძე 10,4%;
4. ირმა ინაშვილი 6,0%
5. კახა კუკავა 2,3%.

## ღარიბაშვილმა ნარმანიას გამარჯვება მიულოცა



„იმედის“ დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით, თბილისის მერის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ნარმანია ლიდერობს.

ამომრჩეველთა წინასწარი გამოკითხვის შედეგებით, ნარმანიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 51,2%-მა. ტელეკომპანიის ცნობით, ეგზიტპოლის შედეგების მიხედვით, მეორე ადგილზე 24,7 %-ით ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ნიკა მელიაა.

თბილისის მერობის დანარჩენ კანდიდატებს შორის კი პროცენტული მაჩვენებელი ასე გადანაწილდა:

დიმიტრი ლორთქიფანიძე, „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“ — 10,8%;

„პატრიოტთა ალიანსი“ — ირმა ინაშვილი 5,8%;

ასმათ ტყაბლაძე, „შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 2,6%;

კახა კუკავა — არასაპარლამენტო ოპოზიცია — 2,1%,

გიორგი გაჩეჩილაძე — 1,1%.

# ნაციონალებმა მიზანს მიაღწიეს



## ბიძინა ივანიშვილი: გიორგი მარგველაშვილი არაკორექტულად მოიქცა“ გვ.3

## თბილისში მამაკაცმა 4 წლის დისშვილი მოკლა

თბილისში, მოსკოვის გამზირზე, დაახლოებით 35 წლის მამაკაცმა 4 წლის დისშვილი ბლაგვი საგნით მოკლა და შემდეგ ვენები გადაიჭრა. როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ამ დროისთვის მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

მათივე ინფორმაციით, დამნაშავეს ექსპერტიზა ჩაუტარდება იმისთვის, რომ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა დადგინდეს. ფაქტზე გამოძიება 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

ნიუსპოსტი

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## ილია მეორე: ხმა მშვიდობასა და საქართველოს მთლიანობას მივეცი“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკუთარი არჩევანი დააფიქსირა. პატრიარქმა ხმა კრწანისის საარჩევნო ოლქის №4 უბანზე მისცა.

როგორც უწმინდესმა ხმის მიცემის შემდეგ განაცხადა, ხმა მშვიდობას და საქართველოს მთლიანობას მისცა.

„ხმა მივეცი მშვიდობას, სიხარულს და საქართველოს მთლიანობას. ვფიქრობ, რომ ყველაფერი კარგად იქნება“, — განაცხადა ილია მეორემ.

ნიუსპრესი

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: ამ არჩევნების შემდეგ ერთსისტემური მმართველობა უნდა დამთავრდეს!“



კოალიცია „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ არჩევანი №24 საარჩევნო ოლქში გააკეთა. ლორთქიფანიძის ვარაუდით, ამ არჩევნების შემდეგ ერთსისტემური მმართველობა უნდა დამთავრდეს და ქვეყნის ერთიანობისთვის ნაბიჯები უნდა გადაიდგას.

„მე გავაკეთე სწორი არჩევანი, არჩევანი ქვეყნის მოწესრიგებისა, არჩევანი ქალაქის მოწესრიგებისა და რაც მთავარია, ჩვენი შვილების ნათელი მომავლისა“-განაცხადა ლორთქიფანიძემ.

ნიუსპრესი

## მარტვილში მომხდარ ფაქტზე საქმე ყაჩაღობის მუხლით აღიძრა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარტვილის რაიონის №16 საარჩევნო უბანზე მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე — ყაჩაღობის მუხლით დაიწყო. ამის შესახებ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

მისი ინფორმაციით, პოლიციამ საარჩევნო უბნიდან დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით, საარჩევნო ბიულეტენები იპოვა. ბიულეტენები დაზიანებული არ არის.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, მარტვილის რაიონის სოფელ დოშაყეში, მე-16 საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესი ჩაიშალა. აღნიშნულ უბანზე, დაახლოებით ღამის 3 საათზე, ნიღბიანი პირები შეიჭრნენ და საარჩევნო ბიულეტენები გაიტაცეს.

ცესკო-ში აცხადებენ, რომ მარტვილში, მე-16 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი განმეორებით ჩატარდება, როგორ და რა ვადებში ამას საარჩევნო ადმინისტრაცია გადაწყვეტს.

მედიანიუსი

## გიორგი მარგველაშვილი უკრაინაში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით მწუხარებას გამოთქვამს



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი უკრაინის ქალაქ ლუგანსკში სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად სამხედრო მოსამსახურეთა დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს.

გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, იგი ერთმნიშვნელოვნად გმობს ძალადობას და ექსტრემიზმის ნებისმიერ გამოვლინებას.

„ამ მძიმე წუთებში ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ გარდაცვლილთა ოჯახებს, უკრაინის ხელისუფლებასა და უკრაინელ ხალხს“-აღნიშნულია პრეზიდენტის სამძიმრის წერილში.

ნიუსპრესი

## პრემიერი უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინული სატრანსპორტო თვითმფრინავის ჩამოგდების შედეგად, 49 სამხედრო მოსამსახურის ტრაგიკულად დაღუპვის გამო, მწუხარებას გამოთქვამს. პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის მეთაურმა უკრაინის პრეზიდენტს პეტრო პოროშენკოსა და უკრაინის პრემიერ-მინისტრს არსენი იაცენიუკს სამძიმრის წერილები გაუგზავნა.

პრემიერი სამძიმრის წერილებში უკრაინის მთავრობასა და უკრაინელ ხალხს თანაგრძნობას უცხადებს.

„მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით, გიცხადებთ გულწრფელ სამძიმარს და კიდევ ერთხელ გიდასტურებთ სოლიდარობას უკრაინელი ხალხის მიმართ. ამ ღრმა მწუხარების ჟამს, გისურვებთ გამძლეობას“-ნათქვამია სამძიმრის წერილში.

ქალაქ ლუგანსკში, უკრაინის სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავის IL76 ჩამოგდების შედეგად, 49 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

ნიუსპრესი

## შალვა ნათელაშვილი ლეიბორისტული პარტიის გარდა სხვა შედეგს არ აღიარებს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ლეიბორისტული პარტიის გამარჯვების გარდა, სხვა შედეგებს არ აღიარებს და ამტკიცებს, რომ ამ დროისთვის არჩევნებში ლეიბორისტული პარტია იმარჯვებს.



ამის შესახებ შალვა ნათელაშვილმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის ეზოში განაცხადა. მან ყველა უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები გააფრთხილა, რომ შედეგების გაყალბების შემთხვევაში „ფეხქვეშ მიწა დაეწვებათ“ და პარტია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ გაყალბება არ დაუშვას.

გარდა ამისა, ნათელაშვილი მოსახლეობას მოუწოდებს, არ დატოვონ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეები მარტო და ბოლომდე დაელოდონ შედეგებს. ნათელაშვილმა ასევე თხოვნით მიმართა ტელეკომპანია „რუსთავი 2“— სა და „იმედს“, რომ 20.00 საათზე არ გამოაცხადონ „გაყალბებული ეგზიტპოლების“ შედეგები, რომლებიც შესაბამის კომპანიებს ნაციონალურმა მოძრაობამ და „ქართულმა ოცნებამ“ შეუკვეთა.

„გაყალბების შემთხვევაში გადაითვლება ბიულეტენები, შემოწმდება რეესტრი გამოცხადებულ ამომრჩეველთა ვინაობა და რაოდენობა. ჩვენ გავიმარჯვებთ, რაზეც მეტყველებს მთელი საქართველოს მოსახლეობის ობიექტური განწყობა და ობიექტური გამოკვევების შედეგები, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით. სიმართლე დაუმარცხებელია და არ შევეგუებით გაყალბებულ არჩევნებს“, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერთან ერთად მოსულმა დეპუტატობის კანდიდატმა ლელა გაფრინდაშვილმა უკმაყოფილება გამოხატა ცესკო-ს მიერ გაგზავნილ დეპუტატის მანდატზე.

მისი თქმით, ცესკო-ს 46 მილიონი ჰქონდა გამოყოფილი საარჩევნო ინვენტარების მოსამზადებლად. მათ კი ფარატინა ფურცელზე დაწერილი მანდატი გამოაგზავნეს. საინტერესოა, რაში დახარჯა 46 მილიონი ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

მედიანიუსი

## თავდაცვის მინისტრმა საკუთარი არჩევანი ზუგდიდში გააკეთა



საქართველოს თადაცვის მინისტრმა თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა. ირაკლი ალასანიამ არჩევანი ზუგდიდში, მე-10 საჯარო სკოლაში,№30-ე საარჩევნო უბანში გააკეთა.

„ძალიან ამაყი ვარ, რომ იმ სახელმწიფო სახელისუფლებო კოალიციის წარმომადგენელი ვარ, რომელმაც ხელისუფლების ნაწილი ცენტრალურიდან ადგილობრივ მმართველობით ორგანოებზე გასცა. ეს მართლა ისტორიული გადაწყვეტილებაა, რომ ზუგდიდთან ერთად, 10 მერი პირდაპირ იქნება არჩეული. ეს არის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმით, რომ დემოკრატია უკვე გადადის რეგიონებში. რეგიონებს და ზუგდიდს, ჩემს ქალაქს, მეტი შესაძლებლობა ექნება საკუთარი პასუხისმგებლობა, როგორც ფინანსურ, ასევე, სხვა სახელმწიფოებრივ საკითხებზე, თავის ხელში აიღოს“ — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მედიანიუსი

## დმანისის დაკეტილი უბნიდან დამკვირვებლებს გამოსძახეს: ვინ გნებავთ?“

დმანისში,სოფ. მთისძირში მისულ დამკვირვებლებს უბანი დაკეტილი დახვდათ. რამდენიმეხნიანი ბრახუნის შემდეგ კი დამკვირვებლებს შიგნიდან გამოსძახეს: „ვინ გნებავთო“.

ინფორმაციას ამის შესახებ „გურია ნიუსთან“ ორგანიზაცია „სიდას“ ხელმძღვანელი, ზვიად დევდარიანი ადასტურებს, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე დაკვირვებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ეგიდით აწარმოებს. როგორც ზვიად დევდარიანმა გაგვიცხადა ინფორმაცია ამის შესახებ უკვე მიაწოდეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“. მისივე თქმით, მოცემული დროისთვის უბანში საუზმობდნენ.

გურიანიუსი

## შსს-მ ანაკლიის 32-ე უბანზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო

ზუგდიდის რაიონის ანაკლიის 32-ე უბანზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რომლის შედეგად, საარჩევნო პროცესი შეწყდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიება 163-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც საარჩევნო კომისიისთვის მუშაობაში ხელის შეშლას გულისხმობს.

ანაკლიის 32-ე საარჩევნო უბანზე საარჩევნო პროცესი, მას შემდეგ ჩაიშალა, რაც უბანზე გაუჩინარებული გოგიტა აბულაძის დედა და ოჯახის სხვა წევრები მივიდნენ და საარჩევნო ინვენტარი დააზიანეს. ისინი აბულაძის საქმის გამოძიებას ითხოვენ.

ნიუსპრესი

## დღეს პეტრეპავლობის მარხვა იწყება

დღეს პეტრეპავლობის მარხვა იწყება, რომელიც 12 ივლისამდე გაგრძელდება. პეტრეპავლობის მარხვა ცვალებადი ხანგრძლივობისაა. მისი დასაწყისი აღდგომის დღესასწაულზეა დამოკიდებული. ის სულთმოფენობიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება და ყველაზე დიდი ექვსი კვირა გასტანს, ხოლო ყველაზე მცირე — 7 დღე.

პეტრეპავლობის მარხვა მძიმე არ არის. ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა ხსნილია თევზით.

წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე თავიანთი მოციქულებრივი და მოწამეობრივი ღვაწლით გამორჩეულნი არიან სხვა მოციქულთა შორის, რის გამოც ეკლესია მათ იხსენიებს, როგორც „თავთა მოციქულთა“. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა გზით მოვიდნენ ქრისტესთან მათ შორის არის ერთგვარი სულიერი სიახლოვე, მსგავსება, რაც თუნდაც იმაში გამოიხატა, რომ ისინი ერთდროულად აღესრულნენ იმპერატორ ნერონის დროს, 67 წელს, როდესაც პეტრე თავდაყირა გააკრეს ჯვარზე, ხოლო პავლეს თავი მოჰკვეთეს.

მედიანიუსი

## პაატა ზაქარეიშვილი: არ არსებობს საქართველოში არჩევნები, როცა გალისა და ახალგორის მიმართულებით გადაადგილება არ ფერხდებოდა“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, გალისა და ახალგორის მიმართულებით მოძრაობა შეფერხებული არ არის და დევნილებს არჩევნებზე ხმის მიცემა შეუძლიათ.

,,არ არსებობს არჩევნები, რომელიც საქართველოში ტარდება და ამ დროს გალისა და ახალგორის მიმართულებით გადაადგილების შეფერხება არ ხდებოდეს. ეს თითქმის ჩვეულებრივი ამბავია და ყოველთვის მოსალოდნელიც იყო, მაგრამ თამამად შემიძლია გითხრათ, რომ წელს ამ ტიპის შეფერხება არ ხდება. არ ვიცი სადაა გადაკეტილი, შეიძლება ქვედა ზონაში იყოს გადაკეტილი, მაგრამ, ჩემი თხოვნით ენგურის ხიდთან მივიდნენ და ნახეს, რომ ადგილზე არანაირი შეფერხება არ არის“— განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

გავრცელებული ინფორმაციით, საოკუპაციო რეჟიმი გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ მისცა. ჩაკეტილია ე.წ. ადმინისტრაციული საზღვარი და ხმის მისაცემად დევნილებს არ უშვებდნენ.

მედიანიუსი

## შსს-მ ნაციონალური მოძრაობის“ ოთხი მხარდამჭერის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში, ფონიჭალაში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოთხი მხარდამჭერის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით გამოძიება დაიწყო.

როგორც შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, დანაშაულის ჩამდენი პირების დადგენა-დაკავების მიზნით ყველა აუცილებელი და კანონით გათვალისწინებული საგამოძიებო ღონისძიება მიმდინარეობს. თუმცა, მისი განმარტებით, დაზარალებულები, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები გამოძიებასთან არ თანამშრომლობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ყველას, მათ შორის, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს, პროვოკაციული ქმედებებისგან თავი შეიკავონ.

„ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თითოეულ სამართალდარღვევის ფაქტზე სამინისტრო რეაგირებას ოპერატიულად, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად მოახდენს“. — განაცხადა გიორგობიანმა ბრიფინგზე.

გავრცელებული ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები წუხელ, ზემო ფონიჭალაში ცემეს, მაშინ როდესაც ისინი დროშებითა და სიგნალებით გადაადგილდებოდნენ.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# „მთავრობის მთავარი პრობლემა უმუშევრობაა“

შორენა მარსაგიშვილი

**ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი საოცნებო მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილოა. აღმასრულებელ ხელისუფლებას მან პრობლემების მოუგვარებლობის გამო მსუბუქად უსაყვედურა, კოალიცია „ქართულ ოცნებას“ კი დისციპლინა დაუწუნა.**

ჟურნალისტებმა ექს-პრემიერი ოზურგეთში, ნატანების საარჩევნო უბანზე „გამოიჭირეს“. მან თავისი მოქალაქეობრივი ვალი იქ მოიხადა. ამ ფაქტმა ნაცმოძრაობა ძალიან გაამხიარულა. გაიძახოდნენ, თბილისის მერად დავით ნარმანიას არჩევა პირველ მოქალაქესაც კი არ უნდაო.

გუშინდელი არჩევნების მიმდინარეობით ივანიშვილი კმაყოფილი ჩანდა. კიდევ უფრო კარგ ხასიათზე იქნებოდა, ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა რომ ყოფილიყო მოგვარებული.

— გვახსოვს, როგორი იყო საპარლამენტო არჩევნები, ვფიქრობ, საპრეზიდენტო არჩევნები ახლოს იყო ევროპულთან, ასევე ხდება დღესაც, რომელიც უფრო რთულია და მრავალრიცხოვანი, ძალიან ბევრი კანდიდატია ასარჩევი. სოციოლოგებს შევხვდი მეგობრულად და არაფორმალურად. ძირითადი პრობლემა დღევანდელი მთავრობის, რაც გამოიკვეთა, არის უმუშევრობა. ამას ყველაზე დიდ შეცდომად უთვლიან ხელისუფლებას, რასაც არ ვეთანხმები. ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები. სამუშაო ადგილები კი უნდა შექმნას ბიზნესმა, რისთვისაც ხელისუფლებამ უნდა შექმნას სათანადო პირობები. ჩვენ უნდა მოვახერხოთ და კონკურენტული გარემო შევქმნათ, ყველას უნდა ჰქონდეს თანაბარი გარემო, რომ გააკეთოს არჩევნები, — განაცხადა ივანიშვილმა.

ექს-პრემიერს წინასაარჩევნოდ დატრიალებული ამბები აშკარად არ მოეწონა. ეტყობა, არც საკუთარი გუნდის საარჩევნო შტაბის საქმიანობით არის კმაყოფილი.

— დისციპლინა აკლია „ქართული ოცნების“ შტაბს, თუმცაღა ესეც დემოკრატიულობაა. ასე გადაწყვიტა შტაბმა და ესეც ნორმალურია. ესეც მაჩვენებელია, თუ გნებავთ იმის, რომ ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიაა, — განაცხადა „მოქალაქეს“ დამფუძნებელმა.

მას გულთან ახლოს არც ოპონენტების ჟრიამული მიუტანია. ნაცმოძრაობის მტკიცებით, ადამიანებმა საკუთარი კანდიდატურები ზეწოლის გამო მოხსნეს.

— ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ 80-მა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა ზეწოლის შედეგად მოხსნა, დაუჯერებელია. ორი არასამთავრობო ორგანიზაცია და ორი ტელევიზია ამას აფორმებს, მაგრამ ამით ვერ შეუცვლიან დამოკიდებულებას საქართველოს მოსახლეობას. დღეს ვნახავთ, რომ ასე იოლი არ არის ქართველი ხალხის მოტყუება. მუდამ ვუკიჟინებდი ძველ მთავრობას, დღევანდელ ოპოზიციას, რომ არა სიცრუით, არამედ სიმართლით, სწორი გზა უნდა ვაჩვენოთ და უკეთესი გზების ჩვენებით ვაჯობოთ ერთმანეთს“, — ასე გამოეხმაურა ამ დროისთვის დაფიქსირებულ დარღვევებს ბიძინა ივანიშვილი.

მარნეულში მომხდართან დაკავშირებით მასაც აქვს კითხვის ნიშნები. ამის მიუხედავად მიაჩნია, რომ არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობდა.

— ამათი თქმით, გამოდის, რომ საქართველოს ისტორიაში ყველაზე უარესი ეს არჩევნებია. მარნეულში მართლაც იყო კითხვის ნიშნები. და ვნახეთ, როგორ ფაფარაშლილი ლომივით იდგა უგულავა, ხომ ნახეთ, რას შვრებოდნენ ნაციონალები? როგორც წარმოგიდგენიათ თქვენ, 75-მა ნაციონალმა მოხსნა კანდიდატურა და ლომივით უგულავამ ვერაფერი მოახერხა? — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გიგი უგულავას წესით უნდა გახარებოდა მისი ცხოველთა მეფესთან გაიგივება. თუმცა პირიქით მოხდა, უგულავა აღშფოთდა. ამასთან, ხეირიანად ვერც გაიგო, რისი თქმა უნდოდა ივანიშვილს.

— გავეცანი განცხადებას, თუმცა რისი თქმა უნდოდა ამ ადამიანს, ვერ გავიგე. ერთადერთი, რასაც მივხვდი, ეტყობა საკუთარი ზოოპარკიდან გამომდინარე ცხოველების ალუზია აქვს და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ადამიანებს ცხოველებს ადარებს. ეს ადამიანი თავის თავის ვიკილიქსია და ალბათ სხვა დროს უფრო ფართოდ განმარტავს იმ სურვილებს, რისი გამოთქმაც სურდა, — განაცხადა უგულავამ.

საარჩევნო ციებ-ცხელების მიუხედავად, ივანიშვილის შესაფასებლად სხვა ნაციონალებმაც მოიცალეს. დეპუტატმა



გოკა გაბაშვილმა ყურადღება უმუშევრობის პრობლემაზე გაამახვილა. მისი თქმით, მთავარი მოქალაქის განცხადება ნათლად აჩვენებს, თუ რა მიდგომა აქვს მთავრობას სამუშაო ადგილების შექმნასთან დაკავშირებით.

— მოგეხსენებათ, ის არის ფაქტიური მმართველი ამ მთავრობის. თქვა, რომ არ აპირებს სამუშაო ადგილებზე ზრუნვას მისი მთავრობა და თქვა, რომ მთავრობის საქმე არ არის სამუშაო ადგილების შექმნა და ზრუნვა. ფაქტიურად ეს არის ის, რასაც ჩვენ ვეუბნებით ჩვენს ამომრჩეველს და ის, რაც უნდა ქართველ ხალხს და ის, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ეთანხმება ხალხს, რომ ამ მთავრობის მთავარი პრობლემა არის სამუშაო ადგილების დაკარგვა, კიდევ ერთხელ აჩვენებს, რა მიდგომა აქვს მას და მის მთავრობას იმ რეალობასთან რაც ქვეყანაშია შექმნილი, — განაცხადა გოკა გაბაშვილმა.

# ბიძინა ივანიშვილი: გიორგი მარგველაშვილი არაკორექტულად მოიქცა“

## დაითხოვს თუ არა პრეზიდენტი მთავრობასა და პარლამენტს

შორენა მარსაგიშვილი

**ოცნების რიგებში ყველაფერი რიგზე ვერ არის. მთავრობის წევრები ერთმანეთთან შეუთანხმებელ განცხადებებს აკეთებენ, პრეზიდენტი კი სადღაც სხვაგან დაქრის. გიორგი მარგველაშვილი უკვე რამდენიმე თვეა, რაც ოცნებისგან განდგომილად ცხოვრობს. მას შემდეგ, რაც კანცელარიაში დამატებით 2 ოთახი არ გაურემონტეს, პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გადავიდა.**



მორიგი ალიაქოთი მარგველაშვილის გარშემო 13 ივნისს ატყდა. არჩევნებამდე 2 დღით ადრე ცნობილი გახდა, რომ მან თანამდებობიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ლაშა აბაშიძე და მრჩეველი ვანო მაჭავარიანი გაათავისუფლა.

სწორედ ამ უკანასკნელის გამო მოუვიდა პრეზიდენტს ყოფილ პრემიერთან უთანხმოება. ვანო მაჭავარიანი ახლო წარსულში თავადაც მაგარი ნაციონალი იყო. ასეთები ოცნებაში არ უკვირთ, მაგრამ ივანიშვილის განრისხება სხვა რამემ გამოიწვია. პრეზიდენტის მრჩეველი ნაცმოძის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა წევრის, მიშა მაჭავარიანის ძმაა.

თავიდან ხმები ვრცელდებოდა, რომ თითქოს ძმები ერთმანეთთან დაპირისპირებული იყვნენ. ამბობდნენ, რომ პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობის გამო ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ.

ეს ვერსია მარგველაშვილმა ექს-პრემიერსაც მიაწოდა. მაგრამ ივანიშვილს რას გამოაპარებდა. მით უფრო, რომ მაჭავარიანები, ისევე როგორც ქვეყნის პირველი მოქალაქე წარმოშობით ჭორვილადან არიან.

პრეზიდენტსა და მთავრობას შორის არსებულ დაპირისპირებაზე ჯერ კიდევ თებერვლის თვეში ალაპარაკდნენ. თებერვლის ბოლოს მარგველაშვილი პარლამენტის წინაშე მოხსენებით წარდგა. ასეთ გამოსვლებს, როგორც წესი, მთავრობა სრული შემადგენლობით ესწრება. იმ დღეს კი მთავრობის არცერთი წევრი არ ჩასულა ქუთაისში. ნაცმოძმა ეს საეჭვოდ მიიჩნია. მაშინვე გაჩნდა ჭორები, რომ ოცნების რიგებში რაღაც კარგად ვერ იყო.

ეს ინფორმაცია საპარლამენტო უმრავლესობამაც უარყო და მთავრობამაც. მინისტრებმა განმარტეს, რომ მათ კანონმდებლობით სულაც არ ევალებოდათ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლას დასწრებოდნენ.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში თბილისში, რაგბიში ერთმანეთს საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებები დაუპირისპირდნენ. იმ დროს აქ ოფიციალურ ვიზიტად რუმინეთის პრემიერი იმყოფებოდა. ირაკლი ღარიბაშვილმა ის რაგბიზე დაპატიჟა. სამთავრობო ლოჟაში, 2 ქვეყნის პრემიერი და ბიძინა ივანიშვილი ისხდნენ მხოლოდ. მოგვიანებით გაირკვა, რომ მარგველაშვილს მთავრობამ მოსაწვევი არ გაუგზავნეს.

მხარეებმა მათ შორის არსებული დაპირისპირება კიდევ ერთხელ უარყვეს. რამდენიმე დღეში კი იყო „იმედისთვის“ მიცემული ინტერვიუ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, გიორგი მარგველაშვილმა პრეზიდენტად დანიშვნის შემდეგ პრინციპულად განსხვავებული თვისებები გამოავლინა.

მოქალაქის თქმით, მარგველაშვილთან არაფორმალური ურთიერთობა აღარ აქვს. ჟურნალისტის კითხვაზე — როგორ აფასებს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, ივანიშვილმა უპასუხა, რომ „ველოდი უკეთესს, არ დავმალავ. პირველი ორი თვე მქონდა საკმაოდ ბევრი პოლემიკა უკვე არჩეულ პრეზიდენტთან.

ივანიშვილმა ისიც თქვა, რომ არ მოსწონს, რომ მარგველაშვილმა პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციის გამოყენება დაიწყო. ყოფილი პრემიერის თქმით, გიორგი მარგველაშვილი ყველაზე პრინციპული მოწინააღმდეგე იყო სასახლეში შესვლის.

ავლაბრის რეზიდენციაში შესვლასთან დაკავშირებით მარგველაშვილმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება პარლამენტში გამოსვლისასაც დააფიქსირა. მერე კი პოზიცია შეცვალა და სააკაშვილის მიერ წვალებით აშენებულ რეზიდენციაში შევიდა.

ქვეყნის პირველი მოქალაქის განცხადებიდან მოკლე ხანში ენ-დი-აიმ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. სადაც ვნახეთ, რომ მარგველაშვილი გამოკითხულთა მხოლოდ 40%-ს მოსწონდა. არადა, გასული წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევების მიხედვით, პრეზიდენტით გამოკითხულთა 72% იყო აღფრთოვანებული.

რეიტინგის ასეთი მკვეთრი ვარდნა მარგველაშვილმა ივანიშვილის მიერ მის გმობას დაუკავშირა.

— ჩემთვის აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო ჩემი რეიტინგის დაცემა. მე აქამდეც არაერთხელ მითქვამს, რომ ბიძინა ივანიშვილს დიდი წვლილი ჰქონდა იმ წარმატებაში, რომელიც არჩევნებზე 62%-ის სახით დამიფიქსირდა. ბუნებრივია, რომ ბიძინას კრიტიკის შემდეგ, იმ ადამიანებმა, ვინც მის გამო მიჭერდნენ მხარს, ჩემთან მიმართებაში საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირეს. შესაბამისად, ეს ჩემთვის აბსოლუტურად ბუნებრივი და მისაღებიცაა, — უთხრა მაშინ გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს.

მოქალაქის და უმაღლესი მთავარსარდლის დაპირისპირების მორიგი მიზეზი ვანო მაჭავარიანი იყო. რომელიც თანამდებობიდან 13 ივნისს გათავისუფლდა. ერთდღიანი დუმილის შემდეგ მიხეილ მაჭავარიანის ძმამ კომენტარი გააკეთა. ექ-მრჩევლის თქმით, გადადგომა მას თავად პრეზიდენტმა შესთავაზა.

— გიორგი მარგველაშვილის თხოვნით მივედი წინასაარჩევნო კამპანიაში საგარეო ურთიერთობათა მრჩევლად, ჩვენ დიდი ხანია ვიცნობ ერთმანეთს, ვსწავლობდით ერთად კიევვაც, შემდეგ მთხოვა, რომ ვყოფილიყავი მისი მრჩეველი რასაც ვაკეთებდი აქამდე. ჩვენ ვიყავით კიევში, სადაც იყო შეხვედრა ბაიდენთან პოროშენკოსთან, კიევიდან დაბრუნების შემდეგ გიორგიმ მთხოვა, რომ წავსულიყავი და მიზეზების შესახებ შემდეგ დამელაპარაკებოდა, მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. მე გავიზიარე მისი თხოვნა და დავწერე განცხადება. დანარჩენი დეტალები ჯერ არ ვიცი. რა კონფლიქტი უნდა მოგვსვლოდა. 40 წელია ერთმანეთს ვიცნობთ და ვმეგობრობთ, — განაცხადა „პირველ რადიოსათან“ საუბრში მაჭავარიანმა.

მისთვის ბოლომდე ცნობილი არაა, თუ რატომ გაიმეტა პრეზიდენტმა უმუშევრობისთვის. ამასთან, იმედს იტოვებს, რომ ის თანამდებობიდან ივანიშვილის მოთხოვნის საფუძველზე არ გაათავისუფლეს.

— გიორგი მარგველაშილს, მგონი, თვითონ აქვს იმის უნარი როგორც ქვეყნის პრეზიდეტმა ჩათვალოს რა არის მისთვის და კონკრეტულად ამ ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანი და ალბათ არ ეფუძნება ივანიშვილის მოთხოვნას, მაგრამ ჩემთვის როგორც გითხარით, მიზეზი ბოლომდე არ არის ცნობილი. დავილაპარაკეთ ალბათ მომავალ კვირას და უფრო მეტი დეტალები მეცოდინება, — განაცხადა პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა.

მის გათავისუფლებასთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს ბიძინა ივანიშვილიც. ამ თემაზე ის ჟურნალისტებს ნატანების 61-ე საარჩევნო უბანზე ესაუბრა. მისი განცხადებით, მარგველაშვილს ვ. მაჭავარიანის თავისთან წაყვანა ჯერ კიდევ განათლების მინისტრობისას სურდა.

— ვანო მაჭავარიანის მოხსნასთან მე არაფერი კავშირი არ მაქვს. ჩემს გამოსვლაში არ მიმინიშნებია იმაზე, თუ რატომ მუშაობს ვანო მაჭავარიანი პრეზიდენტის სამსახურში. ვთვლიდი და გავიმეორებ, რომ ის არ უნდა ყოფილიყო ფავორიტი, რადგან ეს უბრალოდ პოლიტკორექტულობას არღვევდა, მეტი არაფერი. ეს ყველაფერი შესაძლებელი იყო და მე ჩემი აზრი გამოვთქვი. არ მინდა, რომ ის როგორც მოხდა და განვითარდა, ვინმემ მე მომაწეროს. მახსოვს, რომ მარგველაშვილი განათლების მინისტრი იყო და მკითხა, რომ თუ შეიძლებოდა მაჭავარიანი სამინისტროში დაესაქმებინა. მე თანხმობა მივეცი. აქედან გამომდინარე, ეს ჩემთან არ უნდა დაკავშირდეს, არსად არ იკვეთება, რომ მე გამიწია ანგარიში.. მე მხოლოდ ვამბობდი იმას, რომ მაჭავარიანი არ უნდა ყოფილიყო სახე პრეზიდენტის. ამაზე გამოვთქვამდი ჩემს პოზიციას და დღესაც შემიძლია დავაფიქსირო, რომ უხერხულია, როდესაც მისი ძმა არის წინა პრეზიდენტის ფავორიტი და ახალი პრეზიდენტის ფავორიტი იქნება ვანო მაჭავარიანი. მხოლოდ ამაზე მივანიშნებდი. ადრეც ვთქვი, რომ თუნდაც მიხეილ მაჭავარიანმა იმუშაოს მარგველაშვილის ადმინისტრაციაში, ამაშიც პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენ ყველა ერთი ქვეყნის მოქალაქეები ვართ და დისკრიმინაცია არ უნდა არსებობდეს, მაგრამ პოლიტკორექტულობაზე მივანიშნებდი, — აღნიშნა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა ისიც გაიხსენა, რას ყვებოდა ნიკა გილაური ვანო მაჭავარიანზე.

— ნაციონალებმა მაჭავარიანს 7 ათასი ლარი დაუნიშნეს ხელფასად. ჩვენ ოქტომბერში გავიმარჯვეთ და ის ისევ იქ მუშაობდა. გილაურმა შემომითვალა, ეს კაცი ორჯერ არ მოსულა სამსახურში, ხელფასის ასაღებადაც კი არ მოსულა, ქრთამის სახით იღებს ხელფასს და თქვენ ხომ არ გჭირდებათო. მე ვუთხარი, მე არც მომიყვანია და არც წაყვანას ვაპირებ-თქო და ისევ გილაურმა გაათავისუფლა. ეს კაცი ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჩემი აზრით. არ ვიცი, რა სიტყვა ვიხმარო, მაგრამ უმსგავსო საქციელი ჩაიდინა და ასეთი ადამიანი დღეს გახდა ახალი პრეზიდენტის სახე. ეს ჩემთვის უსიამოვნო მიუღებელი იყო, არაერთხელ ვიდავეთ მე გიორგი მარგველაშვილმა. ის ამბობდა, მათ კარგი ძმობა არ აქვთო, მაგრამ გადასარევი ძმობა აქვთ. ამაზე ხანგრძლივი პოლემიკა მქონდა, უშედეგოდ, თუმცა გიორგი მარგველაშვილს ამის უფლება აქვს, — აღნიშნა ივანიშვილმა.

თვითმმართველობის არჩევნებმა ეს თემა ასე თუ ისე გადაფარა. თუმცა ამ დღეებში ის ისევ აქტუალური გახდება. სახელისუფლებო კულუარებში ვრცელდება ხმები, რომ საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის იმპიჩმენტისთვის ემზადება. არის მეორე ვერსიაც, ამბობენ. რომ გიორგი მარგველაშვილმა შესაძლოა პარლამენტი და მთავრობა დაითხოვოს. ამ ვერსიის, თავად ვერსიის ავტორებს არ სჯერათ. თუმცა ვინ იცის....

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# რატომ არ აქტიურობდა თბილისელი ამომრჩეველი?!

ნათია ხურცილავა



**15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა. 12 საათისთვის საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის 16 პროცენტი იყო მხოლოდ მისული. ამომრჩევლის დაბალ აქტივობაზე საარჩევნო უბნის პერსონალიც ამახვილებდა ყურადღებას.**

თბილისში მერობის 14 კანდიდატი ეჯიბრებოდა ერთმანეთს. დედაქალაქის საკრებულოს დეპუტატობისთვის კი 50 წევრიდან 25 პროპორციული სიით, 25 კი მაჟორიტარული წესით იქნა არჩეული.

— დაბალი აქტივობაა. ისეთი, რომ სიმართლე გითხრათ, არც კი მახსოვს, ბოლოს როდის იყო ასეთი დაბალი აქტივობა. წლების განმავლობაში საარჩევნო კომისიაში ვარ. რა არის ასეთი დაბალი აქტივობის მიზეზი, ვერ გეტყვით. თუმცა, შეიძლება ამის სხვადასხვა მიზეზი იყოს. ზოგჯერ არჩევნებზე ადამიანები დიდი ხალისით მოდიან, ზოგჯერ, პირიქით — გაბრაზებულები. დღეს ვერ გეტყვით, რა ხდება, არც გაბრაზებას ვატყობ ხალხს და არც დიდ სიხარულს. — გვითხრა საარჩევნო უბნის წევრმა.

საარჩევნო უბნის წევრები ამომრჩევლებს ელოდებოდნენ, ჩვენ კი რესპონდენტებს ველოდით.

— ჩემი ოჯახიდან მხოლოდ მე წამოვედი, სხვებმა ვერ მოიცალეს. მე მაინც გავაკეთე ჩემი არჩევანი. ვერ გეტყვით, რომ დიდი იმედი მაქვს, მაგრამ მაინც ხმა მივეცი იმ ადამიანს, რომლისაც მჯერა. ბიუჯეტიდან ფულს მაინც არ მოიპარავს, როგორც წინა მერმა მოიპარა. საშინელებაა, როდესაც იცი, ხალხს რომ უნდა მოხმარდეს და ის რომ იჯიბავს. ბევრი რამ თითქოს გაკეთდა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ეს არ არის საკმარისი. ჩვენ ამ ადამიანებს იმიტომ ვირჩევთ, რომ მათი ნდობა გვაქვს, მაგრამ, როდესაც იმედები გიცრუვდება, საშინელებაა. — ამბობს 72 წლის პენსიონერი.

**ნინა ბოჭორიშვილი, ამომრჩეველი:**

— ხმა მივეცი თბილისის უკეთეს მომავალს — დანგრეული გზების აღდგენას, გადათხრილი ქუჩების გამართვას, წყალმომარაგების უკეთეს მუშაობას, ტრანსპორტის გამართულად მუშაობას. გეტყვით, რისთვის არ მიმიცია ხმა. ხმა არ მიმიცია მრავალსართულიანი კორპუსების წამოჭიმვისთვის ძველსა თუ ახალ უბნებში. უარი ვუთხარი ქაოტურ მშენებლობას, მწვანე ნარგავების განადგურებას. უარი ვუთხარი ვაკის პარკში მრავალსართულიან კომმარებს და არა სახლების წამოჭიმვას, რადგან ყველაფერს აქვს საზღვარი. ხმა მივეცი ლამაზი თბილისის მომავალს და არა უმშვენიერესი ანჩისხატის წინ შუშის საფრთხობელის გადებას. ხმა მივეცი ლაღ, თბილისურ ურთიერთობებს, ხმა მივეცი ჩვენი დედაქალაქის ხვალინდელ დღეს. მეტი რა გითხრათ? ალბათ, მიხვდით, ვისზე ვსაუბრობ. ვფიქრობ, ჩემს არჩევანში არ შევმცდარვარ, რადგან არ შეიძლება, მუდმივად ვცდებოდეთ ადამიანები. არ შეიძლება, მუდმივად ჩვენ ვტყუოდეთ და ისინი, ხელისუფლებაში მოკალათებულები, მუდმივად მართლები იყვნენ. ჩვენ ხელისუფლებაში ადამიანებს ვქირაობთ მხოლოდ გარკვეული დროით და, თუ არ გაამართლებენ, მერე გადავირჩევთ ხოლმე, მაგრამ ჩვენთან გადარჩევა ყოველთვის მტკივნეულია. გეგონება, საკუთარი სახლებიდან ვაგდებდეთ, არადა, არ გაგვიმართლეს იმედები და იმიტომ არ ვირჩევთ. გავიგეთ, ბატონებო, რომ მეტი აღარ შეგიძლიათ. ახლა სხვას აცალეთ. იქნებ სხვა უკეთესად აკეთებს რატომ არ უნდა დაუთმო?! არ შეიძლება, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები ახლდეს არჩევნებს ყოველთვის. ერთხელ ევროპაში, საფრანგეთში ვიყავი და იქაურ არჩევნებს შევესწარი. საოცარი რამის მოწმე გავხდი. იქ მცხოვრებმა ჩემმა მეგობარმა მითხრა, დღეს არჩევნებიაო. ვერ წარმოიდგენთ, რა მშვიდად, როგორ მოწესრიგებულად, ბავშვებით, საბავშვო ეტლებით, თითქოს საზეიმოდ განწყობილები იდგნენ რიგში და ირჩევდნენ მათთვის სასურველ კანდიდატს. მართალია, ეს პარიზში ხდებოდა, მაგრამ თბილისშიც ხომ შეიძლება, ოდესმე ასეთი არჩევნები ჩატარდეს და ერთმანეთს ცხვირ-პირი არ დავალეწოთ, კვერცხები არ ვესროლოთ. თუმცა, კვერცხის სასროლად არ უნდა გაიხადო საქმე, ესეც არის. უკვე დროა, პროგრესისკენ გადავდგათ ნაბიჯი და არა უკან, რეგრესისკენ.

**ნაირა ჩიბურდანიძე, ამომრჩეველი:**

— აღარ ვაპირებდი მოსვლას, მაგრამ მაინც არ გამიშვა გულმა და მოვედი, რომ ხმა მიმეცა. ვნახოთ, რა მოხდება, ვინ გაიმარჯვებს და როგორ შეგვისრულებს დანაპირებს. ისე, დანაპირების შესრულება მერე ყველას უჭირს. ხომ უნდა მოეთხოვოს პასუხი პოლიტიკოს, როდესაც დანაპირებს არ შეგისრულებს.

***— ამაზე პასუხი თქვენ უნდა მოსთხოვოთ!***

— როგორ უნდა მოვთხოვოთ, მე რა ვიცი, ყველა იძახის, აგაშენეთო, ყველაფერი მოგეცითო. სულ ტყუილია, რასაც ამბობენ. ჩემს ქუჩაზე გზები ისეთი გადათხრილია, რომ ვეღარ გაივლი, საშინელი მდგომარეობაა. ყოველ თვე ფუჭდება წყლის მილები, რომლებიც სადარბაზოს შესასვლელთანაა გაყვანილი. გადათხრიან სადარბაზოში შემოსასვლელს და მერე ისე ტოვებენ, ასფალტის საფარი რომ დააგონ, უნდა რეკო მთელი კვირა, მერე როდის დააგებენ, ასე ხდება გაუთავებლად, ასე როგორ შეიძლება? ასევე მოჭრეს ხეები ისე, რომ ვერ გავიგე, რა იყო მიზეზი, რატომ მოჭრეს? ეს ყველაზე ნაკლები პრობლემებია, რაზეც მოგიყევით. ტრანსპორტი საშინელ დღეშია, ისეთი სავსე დადის, რომ ადამიანს გული შეგიწუხდება. ლიფტების გამართულად მუშაობის პრობლემაც არის, ქუჩების დასუფთავების, ნაგავსაყრელების. ამ ყველაფერს უნდა მიეხედოს. რაც გაკეთებულია, იმას უნდა მოევლოს და დაემატოს, მაგრამ მთელი წლები გვამადლონ, ქუჩები გავანათეთო, ასეც არ შეიძლება. მხოლოდ ქუჩის განათება ხომ არ არის ცხოვრება?! სხვაც უამრავი პრობლემა და საქმეა, რომლებიც მოწესრიგებას, გამართვას ითხოვს. ახალი მერისგან სწორედ ამ პრობლემების გადაჭრას ვითხოვ.

> ჩვენ ხელისუფლებაში ადამიანებს ვქირაობთ მხოლოდ გარკვეული დროით და, თუ არ გაამართლებენ, მერე გადავირჩევთ ხოლმე, მაგრამ ჩვენთან გადარჩევა ყოველთვის მტკივნეულია. გეგონება, საკუთარი სახლებიდან ვაგდებდეთ, არადა, არ გაგვიმართლეს იმედები და იმიტომ არ ვირჩევთ.

# ვალერი გელბახიანი: კალაძემ ხმამაღლა თქვა ის, რასაც მის კოალიციაში ფიქრობენ“

### „თუ „ქართული ოცნება“ სააკაშვილს ამართლებს, რას ერჩოდნენ იმ ხელისუფლებას?

მარიკა მჭედლიშვილი




**რა მოჰყვა პრემიერ-მინისტრის განცხადებას? რატომ დაუპირისპირდა „ქართული ოცნების“ შტაბის ხელმძღვანელი კახი კალაძე გაერთიანება „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძეს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ „ჩვენი საქართველოს“ ლიდერსა და ყოფილ დეპუტატ ვალერი გელბახიანს ესაუბრა.**

***— უამრავმა ადამიანმა მოხსნა საკუთარი კანდიდატურა და უარი თქვა არჩევნებში მონაწილეობაზე. როგორ ფიქრობთ, ეს პრემიერის განცხადებას უკავშირდება (სხვა ძალების გამარჯვებას არ დავუშვებთო) თუ კანდიდატებზე პირდაპირ ზეწოლას?***

— არჩევნებში მონაწილეობაზე კანდიდატების უარის თქმა შეიძლება, ერთ ფაქტორსაც უკავშირდებოდეს, მეორესაც (ორივესაც) და სხვა გარემოებასაც. ამ პროცედურებს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ზოგჯერ ეს ზეწოლის შედეგია, ზოგჯერ — სასპეკულაციო საგანი. წინა წლებში ასეთი ფაქტის მომსწრეც გავმხდარვარ — ადამიანს დაუყენებია საკუთარი კანდიდატურა, მაგრამ შემდეგ დაუწყია ვაჭრობა ძლიერ მეტოქესთან და შეუთავაზებია საკუთარი კანდიდატურის მოხსნა რაღაცის სანაცვლოდ. შეიძლება, ასეთი შემთხვევებიც იყოს. არაერთხელ ყოფილა ზეწოლის ფაქტებიც, მათ შორის, მაჟორიტარ კანდიდატებზე. პირადად ჩემზეც იყო საშინელი ზეწოლა 1995 წელს. მაშინ მეორე ტურიდან მოვხსენი ჩემი კანდიდატურა. იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, იმიტომ რომ ჩემ გამო 20 ადამიანი (ნათესავი) დაიჭირეს. მათ გასათავისუფლებლად არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ვთქვი. ახლაც, როგორც წინა წლებში, კანდიდატურის მოხსნა შეიძლება სხვადასხვა მიზეზმა განაპირობოს. თქვენ პრემიერ-მინისტრის განცხადება ახსენეთ. რა თქმა უნდა, ეს განცხადება არაკორექტული და უდროო იყო. ამან შეიძლება მწვავე შედეგები მოიტანოს.

***— რომელ შედეგებზეა საუბარი?***

— არჩევნების შემდეგ ოპოზიციური ძალები პატიოსნად წაგების შემთხვევაშიც იტყვიან, რომ მათი მარცხი გაყალბების ბრალია, გაიხსენებენ პრემიერ-მინისტრის განცხადებას, როგორც ზემოქმედებას საარჩევნო კომისიაზე. კომისიების აბსოლუტური შემადგენლობა კი, როგორც ვიცით, მმართველი კოალიციის წევრები არიან. ასე რომ, ირაკლი ღარიბაშვილის ხსენებული განცხადება არანაირად გამართლებული არ იყო. მისმა უარყოფითმა შედეგმა შეიძლება მომავალში იჩინოს თავი.

***— აქამდე „ქართული ოცნება“ ღიად არ დაპირისპირებია ნინო ბურჯანაძეს, მის პარტიასა და გაერთიანებას „ნინო ბურჯანაძე — ერთიან ოპოზიციას“. ამ დღეებში კი კახი კალაძემ ნინო ბურჯანაძეს 2011 წლის 26 მაისს „ნაციონალებთან“ გარიგება დასდო ბრალად. რა ხდება?***

— ჩემი აზრით, კახი კალაძის განცხადება მოუზომავი იყო. ეტყობა, ბატონი კალაძე გაცხარდა და ემოციურ ფონზე გააკეთა ეს განცხადება. როგორც ჩანს, თქვა ის, რაც გულში ჰქონდა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ასე მარტო კალაძე არ ფიქრობს. ეტყობა, „ქართულ ოცნებაში“ თვლიან, რომ 26 მაისს ნინო ბურჯანაძე არ იყო მართალი და მართალი იყო მიშა სააკაშვილი, ოღონდ ამას ხმამაღლა ვერ ამბობდნენ, საზოგადოებრივი აზრის ეშინოდათ. ემოციის ფონზე კახი კალაძემ ამოაფრქვია, რასაც ფიქრობდა. სხვათა შორის, „ქართულ ოცნებას“ დღემდე არ შეუფასებია 2007 წლის (მათ შორის, 7 ნოემბრის) მოვლენები, არც პასუხი გაუცია, თუ რატომ არ არის ეს მოვლენები შეფასებული. იქნებ ფიქრობენ, რომ 2007 წელს სააკაშვილი მართალი იყო, ისევე, როგორც (მათი აზრით) 2011 წელს? თუ სააკაშვილი ამ ყველაფერში მართალი იყო, მაშინ, რას ერჩოდნენ იმ ხელისუფლებას? მაშინ, გამოდის, რომ ჩანაცვლება სწორად ყოფილა გათვლილი, რაღაც გარიგებას ჰქონია ადგილი და ხალხია მოტყუებული. ბურჯანაძეს აინტერესებდა 2011 წლის 26 მაისის მოვლენების გამოძიება. ამ მიმართულებით რაღაც გაკეთდა. ჩვენ, დანარჩენებს, 2007 წლის 7 ნოემბრის ამბების გამოძიებაც გვინდოდა. მაშინ ბურჯანაძე არ ყოფილა ოპოზიციაში. სამაგიეროდ, ჩვენ (ბევრი პარტია) ვიყავით. ჩნდება კითხვა — თუ მაშინ იყო დასაგმობი 7 ნოემბერი და მაშინდელი ლიდერები (ახლა პარლამენტში არიან) გაჰყვიროდნენ, სააკაშვილმა კაცობრიობის წინააღმდეგ ჩაიდინა დანაშაულიო, ახლა აღარ იღებენ ხმას? თუ ხელისუფლებაში რომ მოვიდნენ, ეს დანაშაული აღარ არის? უსუფაშვილით დაწყებული, ძიძიგურით დამთავრებული, 2007 წელს სააკაშვილის საწინააღმდეგო გამოსვლების მებაირახტრეები იყვნენ. ახლა სხვანაირად იქცევიან. რატომ არ შეფასდა იმ მოვლენები სამართლებრივად? რატომ არ დაიწყო გამოძიება?

***— ყოფილი ოპოზიციონერები სააკაშვილს ათეთრებენ?***

— ეტყობა, ფიქრობენ, რომ სააკაშვილი 2007 წლის ნოემბერში სწორად მოიქცა. ამიტომ გამოსაძიებელი არაფერია. კალაძის განცხადებაც არ არის შემთხვევითი. თურმე 2011 წლის 26 მაისს ნინო ბურჯანაძე ყოფილა პროვოკატორი და ხალხი მან გაწირა.

***— კალაძის განცხადება ბურჯანაძის კოალიციის უნებლიე რეკლამა ხომ არ გამოდის?***

— ერთმნიშვნელოვნად არაფრის თქმა არ შეიძლება. ხალხმა ამ დაპირისპირებაში ურთიერთკონკურენციაც დაინახა. მერყევ ადამიანებზე, შეიძლება, ამან გავლენა იქონია, ზოგზე — დადებითი, ზოგზე — უარყოფითი.

## ქობულეთის 81-ე ოლქის 34-ე უბანზე ბიულეტენები ჩაყარეს

„ქობულეთის 81-ე ოლქის 34-ე უბანზე ბიულეტენები ჩაყარეს“, — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა მერაბ ბლადაძემ განუცხადა. როგორც მან აღნიშნა, კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა საარჩევნო ყუთი მარტო დატოვეს, რა დროსაც ყუთში ბიულეტენები ჩაიყარა. მისივე თქმით, კომისიის თავმჯდომარე მოსყიდულია, წინააღმდეგ შემთხვევაში, უბანს არ დატოვებდა.

„ქობულეთის ოლქში, დაბა ჩაქვში, სოფელ ქვედა აჭყვაში 34-ე უბანზე დაფიქსირდა დარღვევის ფაქტი. კომისიის თავმჯდომარემ შენობიდან გაიყვანა კომისიის წევრები. მათ საარჩევნო ყუთი დატოვეს მარტო. დაახლოებით 30-მდე ბიულეტენი ჩაყარეს ყუთში. ბავშვიც კი მიხვდება, რომ კომისიის თავმჯდომარე მოისყიდეს, სხვა შემთხვევაში ასეთ რისკზე არ წავიდოდა“, — აღნიშნა მერაბ ბლადაძემ.

მისივე განმარტებით, უბანზე უკვე იმყოფებოდნენ 81-ე ოლქის წარმომადგენლები. მერაბ ბლადაძე აცხადებს, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ დამკვირვებელმა ფრიდონ სურმანიძემ საჩივარი დაწერა და უბნის გაუქმებას ითხოვს.

ინტერპრესნიუსი

## გიორგი ვაშაძე: სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ქუთაისში კარუსელი დაატრიალა“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის გიორგი ვაშაძის განცხადებით, ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბების გზას მიმართა. ამის შესახებ მან პარტიის ქუთაისის მერობის კანდიდატ გიორგი თევდორაძესთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.



გიორგი ვაშაძის თქმით, მათ აქვთ ვიდეო მასალა, სადაც დაფიქსირებულია, უკვე მარკირებული ამომრჩევლების განმეორებით მონაწილეობა არჩევნებზე.

„სამწუხაროდ, ხელისუფლებამ კარუსელის ტრიალი დაიწყო ქალაქში. ჩვენ გვაქვს ვიდეო მასალა, სადაც დაფიქსირებულია მარკირებული ადამიანების მონაწილეობა და სამწუხაროა, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბების გზას მიმართავს. ყოველშემთხვევაში, დღევანდელი მდგომარეობით ეს შეინიშნება ქუთაისში“— განაცხადა ვაშაძემ.

„ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის მერობის კანდიდატის თქმით, მათი აქტივისტების მიერ ფოტოებზე დაფიქსირებულია, რომ რამდენიმე ამომრჩეველი ხელმეორედ ცდილობდა კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას.

ნიუსპრესი

## ქუთაისის 43-ე საარჩევნო უბანზე ბუნებრივმა აირმა გაჟონა

ქუთაისის 43-ე საარჩევნო უბანზე ბუნებრივმა აირმა გაჟონა, რის შედეგადაც ხმის მიცემის პროცესი რამდენიმე წუთით შეწყდა. აუცილებელი გახდა სასწრაფო დახმარების გამოძახება, რადგან უბანზე მყოფმა რამდენიმე ადამიანმა თავი შეუძლოდ იგრძნო.

საარჩევნო უბნის თავმჯდომარის თქმით, ადგილზე გამოიძახეს „სოკარ“-ის თანამშრომლები, რომლებმაც ბუნებრივი აირი გადაკეტეს.

ინტერპრესნიუსი

# კახი კალაძე: ამ არჩევნებში მკვდარი სულები“ და კარუსელები არ იყო“



ნათია ხურცილავა

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თავიანთი არჩევანი ხელისუფლების წარმომადგენლებმაც დააფიქსირეს. არჩევანის გაკეთების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლები ჟურნალისტებთან თავიანთი პოზიციის შესახებ კომენტარს აკეთებდნენ.**

ხელისუფლების მაღალჩინოსნები საარჩევნო უბანზე ძირითადად მეუღლეებთან და შვილებთან ერთად ცხადდებოდნენ, თუმცა, იყვნენ გამონაკლისებიც. პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საარჩევნო უბანზე მარტო მივიდა. მარგველაშვილი მთაწმინდის საარჩევნო ოლქზე დილის რვა საათზე გამოცხადდა და პირველი ამომრჩეველიც იყო. საარჩევნო უბნიდან გამოსულმა მარგველაშვილმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ დღევანდელი დღე დემოკრატიული არჩევანის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესია. მისი მოწოდების ადრესატი ამომრჩეველი იყო.

— მინდა გითხრათ ყველას, იმისთვის, რომ პოლიტიკოსები გემსახურონ, თქვენ ისინი უნდა აირჩიოთ. აქედან გამომდინარე, მოგიწოდებთ აქტივობისკენ და ყველა პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებ, რომ დღევანდელი დღე პირველ რიგში დემოკრატიის არჩევანი და გამარჯვება იყოს და შემდეგ მათი გამარჯვება. კიდევ ერთხელ ყველას მოგიწოდებთ აქტივობისკენ. — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

თავისი არჩევანი მეუღლესთან და შვილებთან ერთად დააფიქსირა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. პრემიერმა ხმა ვაკის მე-11 საარჩევნო უბანზე მისცა, არჩევანის გაკეთების შემდეგ კი ჟურნალისტებს მისი არჩევანის შესახებ განუცხადა:

— მივეცი ხმა საქართველოს წინსვლას, მომავალს, სტაბილურობასა და განვითარებას. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ გვაქვს მტკიცე ნება, ეს არჩევნები, რომელიც ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის და სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია, მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს. ჩვენ ამისთვის ყველა წინაპირობა გვქონდა დაცული და დღესაც მაქსიმალურად მობილიზებულნი ვართ, რომ დღევანდელი არჩევნები ძალიან წარმატებული იყოს ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველა პოლიტიკურ პარტიას, აქტივისტსა თუ მხარდამჭერს, მაქსიმალურად შეიკავონ თავი ემოციებისა და ნებისმიერი პროვოკაციისგან. ასევე მივმართავ სამართალდამცველებს, რომ მაქსიმალურად დროულად აღკვეთონ ნებისმიერი პროვოკაცია, ნებისმიერი მცდელობა დარბევის ან ჩაშლის. — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერს ჟურნალისტებმა მეორე ტურის ალბათობის შესახებაც ჰკითხეს. რაც შეეხება მეორე ტურის გამართვას, პრემიერმა აღნიშნა, რომ თუ ეს მოხდა, არ იქნება ტრაგედია.

— მგონია, რომ მეორე ტური არ გახდება საჭირო, თუმცა, თუ იქნება მეორე ტური, არც ეს იქნება ტრაგედია, რადგან ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ჩვენ მაქსიმალურად გამჭვირვალე და დემოკრატიული სახელმწიფო ვართ. — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, მისთვის ცნობილია ასევე მცირე ხარვეზების შესახებ, თუმცა ცესკო და სამართალდამცველები მის აღმოსაფხვრელად ეფექტურად მუშაობენ.

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა თავისი არჩევანი საბურთალოს საარჩევნო ოლქში დააფიქსირა.

დავით ნარმანია საბურთალოზე, ალექსიძის პირველ ნომერში მდებარე საარჩევნო უბანზე მეუღლესთან და შვილთან ერთად იმყოფებოდა.

— დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. გამარჯვების დღეა. გავაკეთე არჩევანი იმ ძალის სასარგებლოდ, რომელმაც უნდა განავითაროს ჩვენი დედაქალაქი, რომელმაც უკეთესი მომავალი უნდა შეუქმნას ჩვენს პატარებს, თითოეული ასაკის, თითოეული კატეგორიის ადამიანს, რომელმაც უნდა გააკეთოს დედაქალაქში ძალიან ბევრი საქმე, განაშენიანების, ეკოლოგიის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის თვალსაზრისით. ხმა მივეცი იმ ძალას, რომელიც ერთობლივი ზრუნვით, საზოგადოების აქტიური ჩართულობით მოახერხებს იმას, რომ ჩვენს მომავალ თაობებს უკეთეს დედაქალაქში აცხოვრებს. — განაცხადა ნარმანიამ.

ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ თბილისში, საირმის ქუჩაზე, ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში განთავსებულ საარჩევნო უბანზე გააკეთა თავისი არჩევანი. კალაძეს არ ახლდა მეუღლე, თუმცა არჩევანის გასაკეთებლად ვიცე-პრემიერი შვილთან ერთად იმყოფებოდა.

— ხმა მივეცი საქართველოს ნათელ მომავალს, ძლიერ საქართველოს და ჩვენ ყველა ჩვენი ქვეყნის მოქალაქესთან ერთად ჩვენი ქვეყნის დედაქალაქზე, სრულიად საქართველოზე ვიზრუნებთ, — განაცხადა კალაძემ.

კახა კალაძე აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების ეს ფორმა საქართველოსთვის კიდევ ერთი ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯია.

— ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენ ხალხთან ერთად დავამკვიდრეთ არჩევნების ცივილიზებულ, დემოკრატიულ, თავისუფალ ფორმაში ჩატარება, სადაც არ ხდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, არ ხორციელდება ძალადობა, დაშინება, დაშანტაჟება. არ არსებობს ე.წ. კარუსელები, მკვდარი სულების მანკიერი ფორმა, რომელსაც მისი შემოქმედები იყენებდნენ. ჩვენ ეს ყველაფერი წარსულს ჩავაბარეთ. — აღნიშნა კალაძემ.

კახა კალაძე კოალიცია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო. შესაბამისად, მას მეტი პასუხისმგებლობა აქვს არჩევნების დროს მომხდარ კონკრეტულ დარღვევებზე.

კალაძემ გუშინ არჩევნებში მონაწილე პარტიების ლიდერების მიერ გამოთქმულ კრიტიკას უპასუხა. ის აცხადებს, რომ არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში მიმდინარეობს, რასაც როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლებიც ადასტურებენ.

— ადგილი ჰქონდა რამდენიმე დარღვევასა და ინციდენტს, რომელთა აღმოფხვრა საარჩევნო ადმინისტრაციებმა და შესაბამისმა უწყებებმა დროულად მოახერხეს და პროცესი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა. სამართალდამცავმა ორგანოებმა ინციდენტებზე სწრაფი რეაგირება მოახდინეს და ყველა შემთხვევაზე მიმდინარეობს გამოძიება.

ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ცდილობს, დაძაბოს სიტუაცია. ისინი ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები კანონდარღვევით აწარმოებენ აგიტაციას და ზეგავლენას ახდენენ ამომრჩევლის ნებაზე. გვინდა განვმარტოთ, რომ არჩევნების დღეს წინასაარჩევნო აგიტაცია და საარჩევნო სუბიექტების საგიტაციო ატრიბუტიკის გამოყენება აკრძალულია მხოლოდ კენჭისყრის შენობაში. ის ფაქტი, რომ ჩვენი აქტივისტები აწარმოებენ კენჭისყრის შენობის გარეთ უბანზე გამოცხადებული ამომრჩევლების დამატებით აღრიცხვიანობას, არ წარმოადგენს კანონდარღვევას და სრულად შეესაბამება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს. მსგავსი ქმედება არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტს შეუძლია განახორციელოს, ვისაც ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ ინფორმაციის ოპერატიულ რეჟიმში მიღება სურს. აქვე მოვუწოდებთ ამომრჩევლებსა და პოლიტიკური პარტიის აქტივისტებს, თავი შეიკავონ კენჭისყრის შენობაში კანონით აკრძალული ქმედებების განხორციელებისგან და კენჭისყრის შენობაში საგიტაციო მასალით არ შევიდნენ.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი და საკუთარი არჩევანი გააკეთა, ხოლო ვისაც პოზიცია ჯერ კიდევ არ დაუფიქსირებია, აქტიურობისკენ მოვუწოდებთ. — განაცხადა კახა კალაძემ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ თავისი არჩევანი 42-ე საარჩევნო უბანზე ოჯახის წევრების გარეშე გააკეთა. საარჩევნო უბანზე მისულ შინაგან საქმეთა მინისტრს არჩევანის გასაკეთებლად აუცილებელი პირადობა შინ დარჩა, თუმცა მინისტრმა მაინც შეძლო, რომ თავისი არჩევანი გაეკეთებინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ არჩევანის დაფიქსირების შემდეგ კომენტარი პრესასთან გააკეთა. მან საარჩევნო პროცესის შეფასებისას განაცხადა, რომ პრობლემები იყო მარტვილისა და ანაკლიის საარჩევნო ოლქებში და ორივე ფაქტზე გამოძიება დაწყებულია.

— ზოგადად, არჩევნები მშვიდობიან გარემოში მიმდინარეობს. მარტვილისა და ანაკლიის ფაქტებზე გამოძიება დაწყებულია, თუმცა, სავარაუდოდ, მარტვილის საარჩევნო ოლქში არჩევნები განახლდება, ანაკლიაზე ჯერ ინფორმაციას არ ვფლობ. სხვა ყველა რაიონში არჩევნები მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში მიმდინარეობს. — განაცხადა ალექსანდრე ჭიკაიძემ.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა თავისი არჩევანის დაფიქსირების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. მინისტრი წულუკიანი ამბობს, რომ საქართველოში არასოდეს ყოფილა ასეთი ზუსტი საარჩევნო სია, რომელიც გაყალბების ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

— საქართველოს არასოდეს, დამოუკიდებლობის შემდეგ, ისეთი ზუსტი სია არ ჰქონია, როგორიც დღეს არის — ფოტოსურათიანი, გაუყალბებელი და დღეს თქვენ ნახავთ, რომ ამ ფოტოების წყალობით ყველანაირი „კარუსელი“ გამორიცხული იქნება. — განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი წინასაარჩევნო პერიოდში აქტუალურ უწყებათაშორის კომისიას ხელმძღვანელობს. მისი განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში, უწყებათაშორისი კომისია საგანგებო რეჟიმში შეიკრიბება.

— მივიღებთ დარღვევებზე ინფორმაციას, არ არის გამორიცხული, თუ საჭირო იქნება, კომისიაც შეიკრიბოს, მაგრამ, იმედი მაქვს, რომ უწყებათაშორისი კომისიის საგანგებო რეჟიმში შეკრება არ დაგვჭირდება, იმიტომ, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია გამართულად მუშაობს. ხალხმა გაიგო, რომ არჩევნების დროს სიმშვიდეა მთავარი და მჯერა, ეს დღე მშვიდობიანად ჩატარდება. — განაცხადა წულუკიანმა.

# თბილისში მეორე ტური იქნება?

შორენა მარსაგიშვილი

**თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში მეტ-ნაკლებად მშვიდობიანად დასრულდა. გამარჯვებულის გამოსავლენად რამდენიმე ქალაქში, შესაძლოა, მეორე ტურის ჩატარება გახდეს საჭირო.**

დღის პირველ ნახევარში იყო საშიშროება, რომ არჩევნები ჩაშლილიყო. 12.00 საათის მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით მიიღო 571 123 ამომრჩეველმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 16,65%-ია. 15.00 საათის მონაცემებით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში 992 712-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 28,94 პროცენტია. 17.00 საათის მონაცემებით, 1 188 215-მა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 34,64 პროცენტია.

ამომრჩეველთა აქტივობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს 728 180-ით შემცირდა. ცესკოს 17 საათის მონაცემებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს არჩევანი უბნებზე 1 916 395 ამომრჩეველს ჰქონდა დაფიქსირებული, 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების დროს კი, 17 საათის მონაცემებით, არჩევნებზე 1 188 215 ამომრჩეველი მივიდა.

„ქართული ოცნება“ არჩევნებზე ნაცმოძრაობას გამანადგურებელ მარცხს უწინასწარმეტყველებდა. მათი პროგნოზი არ გამართლდა და ამ არჩევნებზე ნაცმოძრაობამ მეორე საპატიო ადგილი დაიკავა. ეგზიტპოლების თანახმად კი, შესაძლოა, თბილისის მერის გამოსავლენად მეორე ტური დაინიშნოს.

ეგზიტპოლების შედეგებს ნაცმოძრაობა დიდი ჟრიამულით შეხვდა. მეოცნებეებს კი შეფასებების გაკეთება დააგვიანდათ. არადა, ზეიმის მოსაწყობად მათ ოცნების ოფისის წინ სცენა დღის 5 საათისთვის დაამონტაჟეს.

20 საათზე სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა გერმანული კომპანია ჯფკ-ის მიერ ჩატარებული ეგზიტპოლის შედეგები გამოაქვეყნა. პირველადი მონაცემებით, ამომრჩეველთა ხმები ასე გადანაწილდა:

1. დავით ნარმანია 46.3%
2. ნიკა მელია 27.2%
3. დიმიტრი ლორთქიფანიძე 10.4%
4. ირმა ინაშვილი 6.0%
5. კახა კუკავა 2.3%

ცდომილება დაახლოებით 3%-ია, რაც იმას ნიშნავს, რომ დედაქალაქში, შესაძლოა, მეორე ტური დაინიშნოს.

ოდნავ განსხვავებული სურათია „იმედის“ დაკვეთით ჩატარებულ ეგზიტპოლებში.

ამ ეგზიტპოლის შედეგების მიხედვით, თბილისის მერის არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ნარმანია ლიდერობს.

ამომრჩეველთა წინასწარი გამოკითხვის შედეგებით, ნარმანიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 51,2 %-მა. ტელეკომპანიის ცნობით, ეგზიტპოლის შედეგების მიხედვით, მეორე ადგილზე 24,7 %-ით ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი ნიკა მელიაა.

თბილისის მერობის დანარჩენ კანდიდატებს შორის კი პროცენტული მაჩვენებელი ასე გადანაწილდა:

დიმიტრი ლორთქიფანიძე, „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“ — 10,8%;

„პატრიოტთა ალიანსი“ — ირმა ინაშვილი 5,8%;

ასმათ ტყაბლაძე, „შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 2,6%;

კახა კუკავა — არასაპარლამენტო ოპოზიცია — 2,1%,

გიორგი გაჩეჩილაძე — 1,1%.

ნაციონალების მტკიცებით, თბილისში და რამდენიმე თვითმმართველ ქალაქში მეორე ტური გარდაუვალია.

— ქართველმა საზოგადოებამ ნათლად დაანახვა ივანიშვილსა და მმართველ კოალიციას, რომ მას არ მოსწონს ქვეყნის ის განვითარება, რომელიც მათ შესთავაზეს. მათ არ მოსწონთ იმ ტყუილ დაპირებებზე აგებული პოლიტიკა, რომელსაც მთავრობა მათ სთავაზობს. მათ არ მოსწონთ უმუშევრობის, კრიმინალის ზრდა. ჩვენმა საზოგადოებამ ნათლად დაანახვა და აგრძნობინა ამ არჩევნებით მთავრობას ეს გზავნილი. სრულიად ცალსახაა, მიუხედავად იმისა, რომ ცესკო-ს შემაჯამებელი ოქმები წინაა, რომ თითქმის ყველა თვითმმართველ ქალაქში ჩატარდება მეორე ტური. პირველ რიგში, მეორე ტურის მაღალი ალბათობაა და, შეიძლება, გადაჭრითაც ითქვას, რომ თბილისში მეორე ტური ჩატარდება. — აღნიშნა უგულავამ.

არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს ირაკლი ღარიბაშვილს. მან დავით ნარმანიას გუშინვე მიულოცა გამარჯვება.

— მინდა მთელ საქართველოს მივულოცო მართლაც თავისუფალი, გამჭვირვალე, ღია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის. მინდა, ასევე გამარჯვება მივულოცო ჩვენს კანდიდატებს. 8 საათის მონაცემებით, თბილისში პირველ ტურში მოიპოვა გამარჯვება ჩვენმა კანდიდატმა დავით ნარმანიამ. ახლა საჭიროა, დაველოდოთ საბოლოო შედეგებს. — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ეგზიტპოლის მიხედვით, გორში ბლოკ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ზურაბ ჯირკველიშვილი 40,8%-ით ლიდერობს, მეორე ადგილზე კი „ირაკლი ოქრუაშვილი — ქართული პარტიის“ კანდიდატი კახაბერ ერგემლიძეა — 32,3%-ით.

ბათუმში ასევე კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი ერმაკოვი 46,2%-ით ლიდერობს, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გიორგი დიასამიძე — 14,7%-ით.

ზუგდიდშიც „ქართული ოცნების“ კანდიდატი ირაკლი გოგოხია ლიდერობს 59,9%-ით, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა თეიმურაზ ბასილაიამ ხმების 29,7% დააგროვა.

ქუთაისში პირველ ადგილზეა ბლოკ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი შოთა მურღულია 52,5%-ით, ხოლო 26,9%-ით მეორე ადგილზეა ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი გიორგი თევდორაძე.

რუსთავში ბლოკ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დავითი ჯიქია ლიდერობს 37,4%-ით, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა მამუკა ჩიქოვანმა კი 26,3% დააგროვა. მესამე ადგილზე ეროსი კიწმარიშვილია.

თელავში ბლოკ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი პლატონ კალმახელიძე ლიდერობს, რომელმაც ხმების 46,7% დააგროვა, ბლოკ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა ალექსი ძულიაშვილმა კი — 19,7%.

სად ჩატარდება მეორე ტური, ამას შედეგების საბოლოო გამოქვეყნების შემდეგ გავიგებთ. გუშინდელმა არჩევნებმა კი აჩვენა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ნაცმოძრაობა ანგარიშგასაწევი ძალაა.

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში
სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
შედეგები 100%-იანია.
ქ-ნი ქეთევანი
☎ 577-29-37-41, 247-58-83

2014, 16 ივნისი, №140

# როგორ აპატიმრებდნენ ნაციონალები“ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს

## ყოფილი პროკურორის სკანდალური აღიარება

**საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესმა“ მოიპოვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N9 დაწესებულების ყოფილი პატიმრისა და ყოფილი პროკურორის კახა ცნობილაძის განცხადება, რომელიც თავის დროზე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას სახელზეა დაწერილი.**



ცნობილაძე წერილობით მიმართვაში ყურადღებას იმ დარღვევებზე ამახვილებს, რომლებიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საპროცესო ზედამხედველი პროკურორის თანამდებობაზე მისი ყოფნის დროს ხდებოდა.

ყოფილი პროკურორი, 2009 წლის მაის-ივნისში გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით დაკავებული ოთხი პირის სისხლის სამართლის საქმეს იხსენებს, რომელზეც საპროცესო ხელმძღვანელობის გაწევა სწორედ მას დაევალა.

ცნობილაძე ასევე აღნიშნავს, რომ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც პროკურატურაში მისი მუშაობის პერიოდში პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაკავებულები, მორალურ პასუხისმგებლობას გრძნობს.

„ნიუსპრესი“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„ყველა იმ პიროვნების მიმართ, რომელიც მთავარ პროკურატურაში ჩემი მუშაობის პერიოდში პოლიტიკური ნიშნით იქნა დაკავებული, მორალური პასუხისმგებლობა მაკისრია. გამომდინარე აღნიშნულიდან, ვალდებული ვარ, მოგახსენოთ შემდეგი:

საქართველოს მთავარ პროკურატურაში რიგითი პროკურორის თანამდებობაზე ვმუშაობდი. ჩემი თანამდებობიდან გამომდინარე, არათუ რაიმე საპროცესო გადაწყვეტილების მიღება, არამედ სასამართლო პროცესებზე საკუთარი შეხედულებით ტანსაცმლის ჩაცმაც არ შემეძლო. პროკურორის ყველა მოქმედება კონტროლს ექვემდებარებოდა. პროკურატურა ზედმეტად ცენტრალიზებული იყო და წინასწარი გამოძიების პერიოდში ყველა ჩვენი მოქმედება თუ უმოქმედობა დეპარტამენტის უფროსთან (ბ.თხელიძე) და მის მოადგილესთან, ხოლო არსებითი განხილვის საკითხები მხოლოდ დეპარტამენტის უფროსთან თანხმდებოდა.

2009 წლის მაისის და ივნისის თვეში, ჩემი დეპარტამენტის უფროსის დავალებით, საპროცესო ხელმძღვანელობის გაწევა ოთხ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე, კერძოდ, ზაზა ბრეგვაძის, გოჩა წიკლაურის, გია დადეშელის და ტარიელ კამკამიძის ბრალდების საქმეზე დამევალა. იმ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საპროცესო ზედამხედველი პროკურორი ვიყავი. აღნიშნული პირების დაკავების შესახებ ჩემთვის წინასწარ არავის უცნობებია, ამას მათი დაკავების შემდგომ ვიგებდი, რის შემდეგაც, დეპარტამენტის უფროსის მითითებით, საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება მევალებოდა.

აღნიშნული პირები სხვადასხვა პერიოდში, 2009 წლის მაის-ივნისში, გენერალური ინსპექციის თანამშრომლების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით იყვნენ დაკავებულნი. მათი დაკავება მეტად საეჭვო პერიოდში, კერძოდ, თბილისში ხალხის მასობრივი გამოსვლების პერიოდში მოხდა. საქმეებს ეტყობოდა, რომ ოთხივე პიროვნება პოლიტიკური მოტივით იყო დაკავებული, რადგან, როგორც ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, წიკლაური, ბრეგვაძე, დადეშელი და კამკამიძე პოლიტიკურად აქტიური პიროვნებები იყვნენ.

დაკავებულები აცხადებდნენ, რომ იარაღი მათ არ ეკუთვნოდათ და პოლიციის თანამშრომლების მიერ იყო ჩადებული. ბრალდებულებთან შეხვედრის შემდეგ დეპარტამენტის უფროსს მათი პოზიცია მოვახსენე და ვუთხარი, რომ მეტად საეჭვო ვითარება იყო, რაზეც პასუხად მივიღე, რომ გამოძიებას ჩხრეკაში მონაწილე პირები უნდა დაეკითხა და შემდგომ მათი უდანაშაულობის საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტი იყო.

ვხედავდი, რომ ხელმძღვანელობა ამ ოთხი საქმის მიმართ, სხვა სისხლის სამართლის საქმეებთან შედარებით, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო. ჩემი დეპარტამენტის უფროსის მითითებით, ოთხივე ბრალდებულის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს მივმართე. აღნიშნულზე მე წინააღმდეგი ვიყავი, ვინაიდან დაკავებულები იყვნენ პოლიციის ყოფილი ოფიცრები და მათ მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდება დიდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ პირებზე და მათი ბრალდების საქმეზე წერილობით ინფორმაციას სისტემატიურად მთხოვდნენ, რაც ეჭვს უფრო მიმძაფრებდა, რომ ეს ადამიანები პოლიტიკური მოტივით იყვნენ დაკავებულები.

როდესაც გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს ვეკითხებოდი, თუ რა ხდებოდა, ისინი კატეგორიულად აცხადებდნენ, რომ ყველაფერი კანონიერად იყო გაკეთებული, რომ მათ ჰქონდათ იარაღები, თუმცა მე, როგორც რიგით პროკურორს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სიმართლეს არ მეტყოდნენ. მე შევასრულე დეპარტამენტის უფროსის მითითება და ოთხივე ბრალდების საქმე საბრალდებოთი სასამართლოში წავმართე.

საქმეების არსებითი განხილვის პერიოდში ზ. ბრეგვაძეს, გ. წიკლაურს და ტ. კამკამიძეს, რამდენადაც მახსოვს, არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიება აღმკვეთ ღონისძიებად შეეცვალათ. აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც მე ვიცი, გენერალური პროკურორისგან, ზურაბ ადეიშვილისგან მოდიოდა და მივხვდი, რომ ამ საქმეზე ასეთი დაინტერესება მათი დაკავების პოლიტიკურმა მოტივმა გამოიწვია.

რაც შეეხება გია დადეშელის ბრალდების საქმეს, ჩემი ხელმძღვანელი მის მიმართ განსაკუთრებით არაკეთილ განწყობას ამჟღავნებდა და ვფიქრობ, რომ ეს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე პროკურატურის უმაღლესი ხელმძღვანელი პირებიდან მოდიოდა.

გია დადეშელის საქმეზე ინფორმაციას მისი მეუღლე მაწვდიდა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ მუშაობდა და მეუბნებოდა, რომ დადეშელი უდანაშაულო იყო. მე ხელმძღვანელობას, კერძოდ, ჩემი დეპარტამენტის უფროსს მისი პოზიცის შესახებ ვეუბნებოდი, რამაც ძალიან გააღიზიანა და მითხრა, რასაც გეტყვი ის გააკეთო. გია დადეშელი მიხვდა, რომ თავის სიმართლეს ვერ გაიტანდა.

ასევე ტარიელ კამკამიძე, რომელსაც ვიცნობდი, დანაშაულს უარყოფდა. მე დათრგუნული ვიყავი, რადგან რაიმე გადაწყვეტილების მიღება არ შემეძლო. წარდგენილ ბრალდებას უარყოფდა ზაზა ბრეგვაძეც და როგორც ვიცი, სასამართლოში მისი საქმე დღემდე არ განხილულა.

სასამართლოზე, გოჩა წიკლაურის საქმის განხილვის დროს, საქმის გამომძიებლის მიერ მიცემული ჩვენება ფაქტობრივ გარემოებებს სცდებოდა, რის შესახებაც დეპარტამენტის უფროსს მოვახსენე, ვინაიდან მისთვის თითოეული სასამართლო პროცესის ყველა დეტალი უნდა მომეხსენებინა. ხელმძღვანელმა მითხრა, რომ მოსამართლის ფუნქციას ნუ ვითავსებდი. მოწმე ცრუობდა თუ სიმართლეს ამბობდა, ეს მოსამართლის გადასაწყვეტი იყო.

ამის შემდეგ მე გადაწყვეტილი მქონდა, თანამდებობიდან წამოვსულიყავი, მაგრამ მივხვდი, რომ მათ ბედს გავიზიარებდი და ყალბი ბრალდებით დამაკავებდნენ, როგორც ახლა ვარ დაკავებული.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროკურატურაში იყო წესი, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან ბრალდების მხარე ვიყავი, მხოლოდ გამამტყუნებელი მტკიცებულებები უნდა მომეპოვებინა, რაც არ მომწონდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ თუ პროკურორი სასამართლოდან წასვლას გადაწყვეტდა, მთავარ პროკურორთან გასაუბრება უნდა გაევლო და ემტკიცებინა, თუ რატომ მიდიოდი სამსახურიდან“ — ნათქვამია ყოფილი პროკურორის განცხადებაში.

აღნიშნულ განცხადებას ხელს სასჯელაღსრულების №9 დაწესებულების სოციალური განყოფილების სპეციალისტი შ. ბერიტაშვილი აწერს, რომელიც განცხადების შედგენასა და ხელმოწერას ესწრებოდა.

**პ.ს.** იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ პროკურორი კახა ცნობილაძე ქრთამის აღების ბრალდებით დააკავა. როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში იყო აღნიშნული, მან, უკანონო შემოსავლების მიღების მიზნით, საკუთარი იურიდიული კომპანია შექმნა და თავის წარმოებაში არსებულ საქმეებში ბრალდებულის სტატუსის მქონე პირებისგან, იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ, ფულად გასამრჯელოს იღებდა.

ნიუსპრესი

# გარდაცვლილი მურად გორგაძის ოჯახი დათა ახალაიას დასჯას ითხოვს

„დაისაჯოს დათა ახალაია და კომპენსაცია მიიღოს მოკლული მურად გორგაძის ოჯახმა“, — ეს განცხადება დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გარდაცვლილის სიდედრმა გააკეთა. მარო სურმანიძის ინფორმაციით, ნავთლუღის ბაზართან მისი სიძე ახალაიამ 2006 წელს მოკლა.

„ჩემს შვილს ქმარი სულ ტყუილად მოუკლეს. ობლად დამრჩა 6 თვის შვილიშვილი და მთავრობისგან დახმარებას ვითხოვ. ვითხოვ დათა ახალაიას დასჯას, იმიტომ რომ ტყუილუბრალოდ მომიკლა სიძე. უკვე რვა წელია ველოდებით მთავრობას, გამოიძიონ სრული სიმართლე. დღესაც გამობრძანდა ქალბატონი თეა წულუკიანი და სრული სიმშვიდისკენ მოგვიწოდებს, — ყველაფერი იქნება გამოძიებულიო“, — აცხადებს მარო სურმანიძე.

8-სულიანი სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელიც დროებით ყოფილი 53-ე სამხედრო ბატალიონის ტერიტორიაზე ცხოვრობს, თავშესაფარსა და ფულად კომპენსაციას ითხოვს. შეხვედრაზე უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძეც იმყოფებოდა, რომელიც იუსტიციის მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა.

კვირა.გე

# საბანკო დავალიანების გამო აჭარაში 50 წლის მამაკაცმა თავი ჩამოიხრჩო

ხულოს მუნიციპალიტეტში სოფელ განთიადის მკვიდრმა, 50 წლის მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს. ტრაგიკული შემთხვევა კურორტ ბეშუმიდან დაახლოებით 3 კილომეტრის დაშორებით, ე.წ. შქერნალში მოხდა. როგორც ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აცხადებს, ცხედარი ქალაქ ბათუმში გადაასვენეს და მას ექსპერტიზა უკვე ჩაუტარდა.

„კვირას“ ინფორმაციით, გარდაცვლილს ბანკის ვალი ჰქონდა 80 ათას დოლარამდე, ასევე, კუთვნილი მიწა იპოთეკით ჰქონდა დატვირთული.

როგორც „კვირას“ შსს-ში განუცხადეს, საქმესთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

კვირა.გე

# თბილისში ტაქსის მძღოლმა მგზავრი დანით დაჭრა

თბილისში გვიან ღამით, ტაქსის მძღოლსა და მგზავრს შორის ურთიერთშელაპარაკებისას ტაქსის მძღოლმა მგზავრი დანით დაჭრა, — ამის შესახებ „კვირას“ შს სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს.

შემთხვევა მოსკოვის გამზირზე მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მგზავრს კოსტავას გამზირიდან მოსკოვის გამზირის მიმართულებით სურდა გადაადგილება. დანიშნულების ადგილზე მისულმა მოქალაქემ კი ტაქსის მძღოლს განუცხადა, რომ მგზავრობის საფასურს ვერ გადაიხდიდა, რასაც ამ უკანასკნელსა და მძღოლს შორის დაპირისპირება მოჰყვა. არსებული ინფორმაციით, მგზავრმა ტაქსის მძღოლს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რის შემდეგაც იგი მძღოლმა დანით დაჭრა. დაჭრილი მგზავრი თბილისის ერთ-ერთ კლინიკაშია გადაყვანილი. შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლით მიმდინარეობს.

კვირა.გე

# ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების ბრალდებით ორი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით თბილისში ორი პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ერეკლე გ. გუდაურის ქუჩაზე, ხოლო 1992 წელს დაბადებული გიორგი ჩ. კოსტავას ქუჩაზე დააკავეს. ერეკლე გ-ს პირადი ჩხრეკისას „ტე-ტე“-ს სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდით და 6 საბრძოლო ვაზნით, გიორგი ჩ-ს პირადი ჩხრეკისას კი „მაკაროვი“-ს სისტემის არარეგისტრირებული პისტოლეტი 1 მჭიდით და 7 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე მიმდინარეობს — საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით.

მედიანიუსი

# საია-მ გუშინ 14:00 საათისთვის 44 საჩივარი და 56 შენიშვნა დაწერა

**„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია) საარჩევნო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვებას განაგრძობს. 14:00 საათის მდგომარეობით, საია-ს დამკვირვებლებმა საარჩევნო დარღვევებზე 44 საჩივარი დაწერეს და ჩანაწერთა წიგნში 56 შენიშვნა დააფიქსირეს.**

როგორც ორგანიზაციის წარმომადგენლები განმარტავენ, ძირითადად, კენჭისყრის პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, თუმცა დარღვევები მაინც ფიქსირდება.

მათივე ინფორმაციით, ზუგდიდის №32 უბანზე დარღვევის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, საია-ს მობილური ჯგუფის დამკვირვებელი აღნიშნულ უბანზე მივიდა.

„დაახლოებით 10:00 საათზე, ზუგდიდის №32-ე უბანზე ორი წლის წინ გაუჩინარებული გოგიტა აბულაძის დედა, ცინარა აბულაძე და მისი ნათესავები გამოცხადდნენ. ცინარა აბულაძე მისი შვილის საქმეზე გამოძიების ჩატარებას ითხოვდა. საია-ს დამკვირვებლის ინფორმაციით, აღნიშნულ უბანზე კენჭისყრა აღარ მიმდინარეობს, რადგან კაბინები დამტვრეულია, ყუთიდან ბიულეტენები ამოყრილი და უბანზეა გაბნეული“, — აცხადებენ საია-ში.

მათივე თქმით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას, საია-ს ანგარიშში დაფიქსირებულია, რომ 2012 წლის 16 ივნისს ანაკლიაში 75 წლის ცინარა აბულაძე პოლიციელებმა ჯოხით სცემეს, რასაც მეზობლები წერილობით ადასტურებენ.

ამასთან, საია-ს დამკვირვებლებმა დარღვევა კასპის №25 უბანზეც დააფიქსირეს. კერძოდ, კასპის №25 უბანზე ამომრჩეველზე გამგებლის ასარჩევი ბიულეტენები არ გაიცემოდა, ქარელის 25-ე უბანზე კი, „ახალი თაობა — დემოკრატიული საქართველოსთვის“ დამკვირვებლად „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მარლენ ლომიტაშვილი მონაწილეობდა.

საია-ს დამკვირვებლების ინფორმაციით, ასევე, კასპის №22 უბანზე დამკვირვებლად მონაწილეობდა ამავე საარჩევნო სუბიექტის კასპის გამგებლობის კანდიდატი ვახტანგ გუგულაშვილი.

„რუსთავის 82-ე უბანზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ხმის მიცემა დაფიქსირდა. კომისიის წევრმა 2 მაჟორიტარული ბიულეტენით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. ქობულეთის ჩაისუბნის უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამომრჩეველი უბანზე იმის გამო არ დაუშვა, რომ მას შეუბასამოდ ეცვა, რაც არაეთიკურად მიიჩნია (ამომრჩეველს „შორტი“ ეცვა)“— აცხადებენ საია-ს წარმომადგენლები.

მათივე თქმით, ნაძალადევის ოლქის 32-ე უბანზე საკონტროლო ფურცელზე ყუთში ჩაგდების ზუსტი დრო არ აღნიშნეს,

ამასთან, საია-ს ცნობით, იძულებით გადაადგილებული პირების გარკვეულ კატეგორიაზე არ არის გაცემული დევნილის ახალი მოწმობა, რის გამოც მათ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გარკვეული პრობლემები შეექმნათ. კერძოდ, საია-ს დამკვირვებლის ინფორმაციით, ხონის №24 უბანზე, ვინაიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს არ ჰქონდათ დევნილის ახალი მოწმობები, ისინი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას დევნილის ძველი მოწმობებით ცდილობდნენ.

საია-ს ინფორმაციით, ვაკის №19 უბანზე იძულებით გადაადგილებულმა პირმა არჩევნებში მონაწილეობა დევნილის მოწმობის გარეშე მიიღო.

ნიუსპრესი

# აშშ ერაყში სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნას არ გეგმავს

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ერაყში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

თეთრ სახლში გამოსვლისას ობამამ განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი, თუ რა სახის დახმარებას გაუწევს აშშ ერაყის მთავრობას, თუმცა, აქვე გამორიცხა, რომ რეგიონში ამერიკელ სამხედროებს გაგზავნის.

„ამ ტიპის ტერორისტების შინაარსის გათვალისწინებით, მათთან დაპირისპირება, შესაძლებელია, აშშ-ს ძვირად დაუჯდეს. ჩვენ არ გავგზავნით ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს ერაყში საბრძოლველად, თუმცა მე დავავალე აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების გუნდს, რომ სხვა სახის დახმარების პაკეტი მოამზადონ. თუ რაიმე მოქმედებების შესახებ ბრძანებას გავცემ, დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ეს მოქმედებები ზუსტი იქნება“. — აღნიშნა ობამამ.

ამასთან, ამერიკის პრეზიდენტმა ერაყელი სამხედროები გააკრიტიკა, რომლებმაც ქვეყნისა და მთავრობის დაცვა ვერ მოახერხეს, ასევე მთავრობა, რომელმაც შიიტებსა და სუნიტების უმცირესობასთან მოლაპარაკებების პროცესი ვერ ჩამოაყალიბა.

„აშშ სამხედრო გზით არ ჩაერევა სიტუაციაში, მაშინ, როცა ერაყის ხელისუფლებას არავითარი პოლიტიკური გეგმა არ აქვს“. — დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს ერაყთან დაკავშირებით განსახილველი ვარიანტები არ დაუკონკრეტებია.

„ამერიკის ხმის“ ინფორმაციით, კაპიტოლიუმის ბორცვზე წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელმა სპიკერმა ჯონ ბეინერმა ობამას მთვლემარედ ყოფნა დასდო ბრალად.

„ისე არ არის, თითქოს გასულ ხუთ ან ექვს თვეში ჩვენ ამ



ტერორისტების მოძრაობას არ ვხედავდით, როცა დასავლეთ ერაყზე კონტროლს იღებდნენ ხელში. ახლა ისინი ქალაქ მოსულს აკონტროლებენ. ისინი ბაღდადიდან 100 მილში არიან. პრეზიდენტი ამ დროს რას აკეთებს? ის თვლემს“.

სამხედრო და დაზვერვის ოფიციალური პირების მიერ დახურულ კარს მიღმა გამართული თათბირიდან ორივე პარტიის წარმომადგენელი სენატორები დაფიქრებული გამომეტყველებით გამოვიდნენ. სენატორმა ჯონ მაკკეინმა თქვა, რომ ერაყის კრიზისზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტსა და მის გუნდს ეკისრება:

„ვფიქრობ, რომ ეროვნული უსაფრთხოების გუნდში ყველა, გაერთიანებული შტაბების თავმჯდომარის ჩათვლით, შესაცვლელია. ეს სრული ჩავარდნაა. ჩვენ აქ უბედურების წინაშე ვდგავართ“.

დემოკრატმა სენატორმა ჯო მანჩინმა თქვა, რომ ერაყთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებს გადაწყვეტილებების მიღება მართებს, მაგრამ კაპიტოლიუმის ბორცვზე რიტორიკის ტონის შერბილებისკენ მოუწოდა:

„ამჟამად ამ თემაზე პოლიტიკური თამაშების დრო არ არის. ეს ძალიან საშიშია და მთელ რეგიონს ეხება. მე ყოველთვის გამბობდი, ფულს ან სამხედრო ძალას მსოფლიოს იმ ნაწილის შეცვლა რომ შეძლებოდა, ჩვენ ეს უკვე გაკეთებული გვექნებოდა“.

მაგრამ რესპუბლიკელმა სენატორმა ბობ კორკერმა თქვა, რომ შეერთებული შტატები ვერ შეურიგდება ისეთ სიტუაციას, რომელსაც მან „უმართავისკენ მიმავალი“ უწოდა:

„ეს ისე გრძელდება, რომ მთელ რეგიონს ნამდვილად ცეცხლის ალში გახვევს“.

მისმა კოლეგამ, რესპუბლიკელმა სენატორმა ლინდსი გრემმა შეერთებულ შტატებს ისლამისტი სუნიტი შეიარაღებული ჯგუფების წინააღმდეგ საჰაერო დარტყმებისკენ მოუწოდა. დემოკრატმა კარლ ლევინმა თქვა, რომ მოქმედებებში აჩქარება არ უნდა მოხდეს:

„ნებისმიერ ქმედებამდე ჩვენ ძალიან, ძალიან ფრთხილი და დაფიქრებული უნდა ვიყოთ და სპონტანურად არ ვიმოქმედოთ, ნაადრევი დასკვნები არ გავაკეთოთ“.

პენტაგონის პრესმდივანმა, პოლკოვნიკმა სტივ უორენმა თქვა, რომ შეერთებული შტატების სამხედრო უწყებას ერაყის „სიტუაციის სიმძიმეზე სრული წარმოდგენა აქვს“.

შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელი სამხედრო ნაწილები ერაყიდან 2011 წელს გამოიყვანა.

?ეგახსენებთ, რომ ერაყის რამდენიმე ქალაქს „ალ ქაიდას“ მოკავშირე „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები აკონტროლებენ.

ტერორისტებმა ქალაქი მოსული და სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქი ტიკრიტი დაიკავეს, ახლა კი ისინი ბაღდადის ასაღებად ემზადებიან.

მოსულში ტერორისტები თავს დაესხნენ თურქეთის საკონსულოს და მძევლად აიყვანეს კონსული, დიპლომატები და საკონსულოს სხვა თანამშრომლები.

# ბოლივიამ რუსეთი „ჯი77-ში“ მიიწვია და გაეროს უშიშროების საბჭოს დაშლა მოითხოვა




ბოლივიის პრეზიდენტმა ევო მორალესმა რუსეთი „ჯგუფ 77-ში“ მიიწვია, რომლის სამიტი „ჯი77 ჩინეთის“ ფორმატში ბოლივიის ქალაქ სანტა-კრუზში იმართება. ამას გარდა, მორალესი გაეროს უშიშროების საბჭოს დაშლას ითხოვს, რომელიც, მისი თქმით, ქვეყნებს შორის მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს.

„ჯი77-ის“ შეხვედრა ევო მორალესმა გახსნა. სამიტის საბოლოო დოკუმენტი, ორგანიზატორების აზრით, გაეროს ახალი დღის წესრიგის შემუშავების საფუძველი უნდა გახდეს. მორალესის მთავარი ამოცანა არაეფექტური უშიშროების საბჭოს მოცილებაა: „საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მშვიდობას, მსოფლიო იერარქიების დანგრევას, ქვეყნების თანასწორობას ხელს შეუწყობენ, ამიტომ გაეროს უშიშროების საბჭო უნდა გაქრეს“.

მისივე თქმით, იმის მაგივრად, რომ გაერომ ხალხებს შორის მშვიდობა უზრუნველყოს, ხელი შეუწყო სამხედრო მოქმედებებსა და აგრესიას იმისთვის, რომ ამით დაზარალებული ქვეყნების რესურსებს დაუფლებოდა.

რუსეთზე საუბრისას მორალესი აცხადებს: „მოვუწოდებთ რუსეთსა და სხვა ქვეყნებს „ჯი77-ს“ შეუერთდნენ იმისთვის, რომ სასიკეთო ამოცანები შეასრულონ ხალხების საკეთილდღეოდ... ჩვენ გვსაჭიროებთ ინტეგრაციას გათავისუფლებისთვის, მსოფლიოს ყველა ხალხის ღირსეული მომავლისთვის — ეს არ არის თანამშრომლობა ზეწოლის, ჩაგვრის მიზნით“.

„ჯგუფი77“ 1964 წლის 15 ივნისს განვითარებადმა ქვეყნებმა შექმნეს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განვითარებისთვის. თავიდან ის 77 წევრს ითვლიდა, ახლა მასში 133 სახელმწიფო შედის. „ჯი77“ გაეროსა და მისი ორგანოების ფარგლებშიც მოქმედებს.

# ჯორჯ ბუშმა-უფროსმა 90-ე წლისთავი პარაშუტიდან გადმოხტომით აღნიშნა

აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უფროსმა 90-ე დაბადების დღე ინსტრუქტორთან ერთად პარაშუტიდან გადმოხტომით აღნიშნა. მაინის შტატში, კონებანკპორის დასახლებაში გამართულ ღონისძიებაზე ბუშის მთელი ოჯახი იმყოფებოდა.

„დღეს მაინში შესანიშნავი დღეა — საკმარისად კარგი პარაშუტით გადმოხტომისთვის“. — წერს ბუში „ტვიტერზე“.

ნახტომისას ბუშსა და ინსტრუქტორს ფეხები გადაეჯაჭვათ და დაშვებისას ბუში დაეცა, მაგრამ ყველაფერი კარგად დასრულდა. „მას სახეზე ღიმილი ჰქონდა და ძალიან ბედნიერი იყო“. — განაცხადა ოჯახის მეგობარმა დიანა ანტრემეიერმა.

იუბილეებზე პარაშუტით გადმოხტომა ბუშისთვის ტრადიციაა. სულ მის ანგარიშზე რვა ნახტომია. 88 წლის ასაკში თავის შვილიშვილს ჯენა ბუშს უთხრა, რომ კიდევ ერთ ბოლო ნახტომი უნდა განახორციელოს. პარკინსონის ავადმყოფობის მიუხედავად, მან დანაპირები შეასრულა. დაავადებამ ის ბოლო წლებში, პრაქტიკულად, ინვალიდის ეტლს მიაჯაჭვა.



პირველად ჯორჯ ბუში პარაშუტით 1944 წელს გადმოხტა. მეორე მსოფლიო ომის დროს მას, როგორც პილოტს, წყნარი ოკეანის თავზე ფრენისას თვითმფრინავის დატოვება მოუხდა. მას მერე ნახტომი მისი გატაცებაა. პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ბუში ასევე დაკავებული იყო ჩოგბურთით, სირბილით და თამაშობდა გოლფს.

# იამაიკაში სულიერი განწმენდისთვის მარიხუანას მოწევის უფლებას მისცემენ



იამაიკის ხელისუფლებამ რელიგიური, სამეცნიერო და სამედიცინო მიზნებისთვის მარიხუანას გამოყენების დეკრიმინალიზაციას მხარი დაუჭირა. მთავრობის გადაწყვეტილება დიდი გამარჯვებაა რელიგიური მოძრაობა „რასტაფარის“ მიმდევრებისთვის, რომლებიც ქადაგებენ, რომ მოწევა სულიერი განწმენდის პრაქტიკას წარმოადგენს. თუკი კანონი ძალაში შევა, 57 გრამზე ნაკლები მარიხუანას შენახვა დანაშაული აღარ იქნება და არა ციხით, არამედ ჯარიმით დაისჯება. — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა მარკ გოლდინგმა.

„ხაზს ვუსვამ, რომ კანონმდებლობისთვის შეთავაზებული წინადადებები იმისკენ არ არის მიმართული, რომ მარიხუანას გართობისთვის გამოყენება წავახალისოთ და არ ამართლებს მათ, ვინც ამას აკეთებს“. — ამბობს გოლდინგი.

აღსანიშნავია, რომ კუნძულზე თითქმის ყოველ კვირას მარიხუანას შენახვისთვის დაახლოებით 300 ადამიანს ასამართლებენ.

რაც შეეხება სამეცნიერო და სამედიცინო მიზნებს, მთავრობა მიიჩნევს, რომ ლეგალიზაცია ხელს შეუწყობს ინდუსტრიის განვითარებას და კუნძულს ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. მარკ გოლდინგის თქმით, ძველი კანონის შენარჩუნება „არასწორი და გაუაზრებელია“.

„დადგა დრო, იამაიკას მივცეთ შესაძლებლობა, რომ მარიხუანას მოყვანა შემოსავლიან ბიზნესად იქცეს“. — აცხადებს კინგსტონის მერი ანჟელა ბრაუნ ბერკი.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# თათრეთის მუფტი წვიმისთვის ლოცვის მოწოდებით გამოვიდა

თათრეთის რესპუბლიკის მუსლიმანთა სასულიერო სამმართველოს თავმჯდომარე კამილ სამიგულინი რესპუბლიკის იმამებს მიმართავს,



რომ მეჩეთებში ყოველდღიური ლოცვები აღავლინონ ნალექის წამოსვლისთვის.

„ბოლო თვეების განმავლობაში, ჩვენს რეგიონში მდგრადი მშრალი ამინდები დაიჭირა, რასაც ყველა ცოცხალი არსებისთვის გამოუსწორებელი შედეგის მოტანა შეუძლია: „ჩვენი რესპუბლიკის ყველა მუსლიმანს მივმართავ, რომ ალაჰს წვიმისთვის შეევედროს“. — მიმართავს ადგილობრივი მაჰმადიანების ლიდერი სულიერ სამწყსოს.

მეთაურმა მრევლს ასევე მოუწოდა, მიმართონ შემოქმედს, რომ „შეუნდოს მათ ცოდვები და დედამიწაზე სიგრილე და კარგი ნალექი დაუშვას“.

სპეციალური ნამაზები (ლოცვები) თათრეთის მეჩეთებში კვირის ბოლომდე შესრულდება. რესპუბლიკაში 6 ივნისის შემდეგ გვალვის გამო საგანგებო რეჟიმი მოქმედებს.

# კიმ ჩენ ინმა რეალური ომის მსგავსი მანევრების ჩატარება ბრძანა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა კორეის სახალხო არმიის მებრძოლებს უბრძანა, გააუმჯობესონ საბრძოლო შესაძლებლობები და ჩაატარონ ინტენსიური მანევრები, რომლებიც



მიახლოებული იქნება ნამდვილ ომთან.

აღნიშნული ბრძანება კიმ ჩენ ინმა 863-ე სამხედრო ნაწილის მონახულების შემდეგ გასცა. მანამდე ინმა ინსპექტირება ჩაატარა კუნძულ რე-ს სამხედრო ნაწილზე, რომელიც იაპონიის ზღვაზე მდებარეობს.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ კუნძული გარდაიქმნა „ჩაუძირავ გემად და მიუდგომელ ციხედ, რომელსაც მტრის მოულოდნელი თავდასხმის არ ეშინია“.

მან დაავალა, გააუმჯობესონ და გააძლიერონ აღნიშნულ კუნძულზე საბრძოლო მზადყოფნა, რათა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მტრის ძალების შეჭრა სოციალისტური სამშობლოს ტერიტორიაზე.

მანამდე ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი თავისი სამხედრო საჰაერო ძალების წვრთნებს დაესწრო.

ვიდეო, რომელშიც ეს წვრთნებია გადაღებული, სოციალურ ქსელებში პოპულარულია, რადგან იქ მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საფრენი აპარატები იყო გამოყენებული.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და სწრაფი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

გულახდილი საუბრები

# ქეთი: მშობლებმა მომატყუეს, რომ აყვანილი ვყავდი“



„ზედმეტად მგრძნობიარე და გულჩვილი ბავშვი ვიყავი. მშობლებმა ჩემი ხასიათი კარგად იცოდნენ და დღემდე ვერ ვხვდები, ასე რატომ გამეხუმრნენ — მთელი ბავშვობა ეჭვებში გავატარე“, — ასე დაიწყო საუბარი ჩვენმა რესპონდენტმა ქეთიმ, რომელსაც გულჩვილობა და გადაჭარბებული მგრძნობიარობა 32 წლის ასაკშიც კი აწუხებს.

**ქეთი:**

— ჩემი ემოციური და მგრძნობიარე ხასიათის გამო თანატოლებთან ვერასდროს ვთამაშობდი. მათგან სულ მცირეც კი მწყინდა ხოლმე, გულთან ახლოს მიმქონდა და ძალიან მტკივნეულად განვიცდიდი.

***— მაინც რა გწყინდათ, თუ შეიგიძლიათ, დააკონკრეტეთ. წვრილმანში რას გულისხმობთ?***

— ბავშვებმა იციან ხოლმე თამაშის დროს წაკინკლავება, თავის დასაცავად კი ერთმანეთს ბავშვურად სალანძღავ სიტყვებს აძახებენ და ებუტებიან. მე კი ეს არ მომწონდა. არასდროს ვაკადრებდი ჩემს მეგობარს ,,დებილო“-ს და ,,ცუდო“-ს, ხოლო მე თუ ვინმე ამ სიტყვას დამიძახებდა, მაშინვე ტირილს ვიწყებდი და მთელი ღამე ვფიქრობდი, რატომ ვიყავი მაგალითად, ,,ღორი“ ან ,,დებილი“ და დედას ვეკითხებოდი, ნამდვილად ასეთი ვიყავი თუ არა.

ერთხელ ტყეში თანასოფლელმა ბიჭმა ჩიტის ბარტყი მოკლა. ბარტყი იმ დროს დედის ნისკარტიდან საკენკს ჭამდა. ამ სურათმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ მთელი ღამე მკვდარი ბარტყის დედა მესიზმრებოდა და არ დამეძინა. ძილში რამდენჯერმე ჩემმა ტირილმა გამაღვიძა. მეორე დღეს ტყეში წავედი დედა-ჩიტის მოსანახულებლად, მაგრამ ვერ ვიპოვე. ამ ფაქტის შემდეგ ჩემს თანასოფლელ ბიჭთან აღარ ვმეგობრობდი და ჩემთან სახლშიც აღარ ვუშვებდი ხოლმე.

***— სხვა ბავშვებმაც ასე მტკივნეულად აღიქვეს ბარტყის მოკვლა?***

— ვერ გეტყვით, რომ არ შეეცოდათ და გული არ დაწყდათ, მაგრამ ჩემნაირად მძიმედ არავის გადაუტანია. ოთხი დღე საჭმელს არ ვჭამდი და არავის ვეკონტაქტებოდი. საერთოდ, ჩემი ასაკის ბავშვებთან შედარებით თავს ყოველთვის დიდად ვგრძნობდი და ამგვარ ფაქტებსაც ბევრად უფრო სერიოზულად აღვიქვამდი.

***— რა ასაკიდან შეიგრძენით, რომ უკვე დიდი ხართ?***

— საერთოდ, ჩემს ასაკს აზროვნებით ყოველთვის წინ ვუსწრებდი მაშინაც და ახლაც. ფიზიკურთან შედარებით გონებრივად უფრო სწრაფად ვიზრდებოდი, ფიზიკურად კი ბავშვური აღნაგობა მქონდა. 7 წლის ასაკიდან ხასიათი შემეცვალა. უფრო უკონტაქტო, სერიოზული და ჩემს თავთან ჩაკეტილი გავხდი.

***— რამ გამოიწვია ეს ცვლილება?***

— მშობლების გაუცნობიერებელმა შეცდომამ. მე ჩემზე უფროსი ძმაც მყავს. თუ რამეს ავიხირებდით, მშობლები ხშირად გვეხუმრებოდნენ ხოლმე იმ მიზნით, რომ ყურადღება სხვა რამეზე გადაგვეტანა. ხან რას მოიგონებდნენ და ხან რას. მე ძალიან ჯიუტი ბავშვი ვიყავი და რამეს რომ ამოვიჩემებდი, სანამ არ შემისრულებდნენ, მანამდე ვტიროდი.

ერთხელ სოფელში მივდიოდით მანქანით, გზად სათამაშო მომეწონა, მამამ გაჩერება ვერ მოასწრო და გავცდით. ამის გამო ტირილი დავიწყე, ბევრს ეცადა დედა ჩემს დაწყნარებას და ყურადღების სხვა თემაზე გადატანას, მაგრამ რომ ვერაფერი შეძლო, უცნაური ტყუილი მოიფიქრა. მითხრა: იცი, ჩვენ შენი მშობლები არ ვართ, შენ აყვანილი შვილი ხარო. როგორც კი ეს სიტყვები გავიგე, ტირილი შევწყვიტე და კითხვების დასმა დავუწყე. დავინტერესდი, რატომ ამიყვანეს, უშვილობის პრობლემა მათ არ ჰქონიათ, რადგან მე უფროსი ძმაც მყავდა. მიაპასუხეს, რომ თითქოს დედაჩემი ჩემს მშობიარობას გადაჰყვა, უპატრონოდ დარჩენილი კი შემიცოდეს და გამზარდეს. თან გოგო არ გვყავდა და ამიტომ უფრო გადავწყვიტეთო. მათ ეგონათ, რომ ეს ხუმრობა უბრალოდ ჩაივლიდა და ჩემში ნაკვალევს არ დატოვებდა. როცა შემხედეს, რომ სახე შემეცვალა, მამამ თხრობა სიცილით გააგრძელა. მითხრა, რომ ის ჩემი ნამდვილი მამა იყო, დედა კი გარდაცვლილი მყავდა. სიმართლე გითხრათ, იმ წუთებში მამაში ეჭვი არც შემპარვია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ნამდვილად მამაჩემი იყო.

***— დედაზე რაც გითხრეს, სიმართლედ მიიღეთ?***

— რა თქმა უნდა, ეს ფაქტი იმ წუთას არ დავიჯერე, მათ ნათქვამში ეჭვი შემეპარა, მაგრამ დროთა განმავლობაში გონებაში გამიჯდა და დაკვირვებები დავიწყე. მეგონა, რომ ჩემს ყველა მეგობარს დედა დაღუპული უნდა ჰყოლოდა.

ერთხელ გაკვეთილების შემდეგ ჩემს თანაკლასელ თეონას გავყევი სახლში. დედამისს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და საწოლიდან ვერ დგებოდა. საწოლთან თეონას და მისი ძმის დიტოს სურათები ედო. დავინტერესდი და დავათვალიერე. სურათი სამშობიარო სახლთან იყო გადაღებული. თინა დეიდას ერთ ხელში ახალშობილი თეონა და მეორეში კი ყვავილების თაიგული ეჭირა. თეონას დედამ მითხრა, თეონა რომ გავაჩინე და სამშობიაროდან გამომწერეს, ეს სურათი იმ დღეს გადავიღეო. მივხვდი, რომ თინა დეიდა თეონას ნამდვილი, ბიოლოგიური დედა იყო. სასწრაფოდ სახლში გამოვიქეცი. სანამ დედა სამსახურიდან დაბრუნდებოდა, ფოტოალბომში ჩემი პატარაობისდროინდელი სურათების ძებნა დავიწყე. სამწუხაროდ, ვერ ვიპოვე. როგორც მერე გავიგე, ჩემი ბავშვობის სურათები სხვა უჯრაში ჰქონიათ შენახული და იმ დროს მხოლოდ ჩემი ძმის ვნახე. ამან ეჭვი კიდევ უფრო გააღრმავა ჩემში. სახლში ჩავიკეტე და ჩემს ტკივილს ვერავის ვუმხელდი.

***— რატომ არ გაუმხილეთ მშობლებს, ამდენს რომ ნერვიულობდით, ხომ აგიხსნიდნენ, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა იყო?***

— ვეღარ ვუხსნიდი გულს. მათ მიმართ უნდობლობა დამეუფლა. მეგონა, 7 წელი აყვანილს მზრდიდნენ და მატყუებდნენ, რომ მათი შვილი ვიყავი.

***— ფიზიკურად დედას არ ჰგავდით? ამით მაინც დაკვირვებოდით თქვენს თავს, იქნებ მსგავსება გეპოვათ და ეჭვიც გაგქრობოდათ?***

— სახის ნაკვთებით დედას ძალიან ვგავდი. თუ ვინმე მისი მხრიდან პირველად მნახავდა, მაშინვე ამჩნევდა და აღნიშნავდა ხოლმე ამ მსგავსებას. ამას უცხო თვალიც მიხვდებოდა, მაგრამ იმ პერიოდში ამ მოულოდნელობისგან იმდენად დაბნეული ვიყავი, რომ ფიზიკურ მსგავსებას არც ვაკვირდებოდი.

***— ასე სერიოზულად რატომ მიიღეთ, რატომ შეგეპარათ ეჭვი? განა დედა თქვენ მიმართ საკმარის სითბოს არ ამჟღავნებდა, რომ დედაშვილურ კავშირში ეჭვი შეგპარვოდათ?***

— ზედმეტად მგრძნობიარე ვიყავი და ამიტომ. ძნელია იმის ახსნა, იმ დროს რას განვიცდიდი. ამ ეჭვის ხმამაღლა თქმა კი მრცხვენოდა. დედა საკმაოდ თბილი და ყურადღებიანი იყო შვილების მიმართ, ამავდროულად, მკაცრიც. თუმცა მანამდე ამ სიმკაცრეს ვერ ვამჩნევდი და მხოლოდ ამ ფაქტის შემდეგ დავიწყე მასზე დაკვირვება. მერე უკვე მეჩვენებოდა, რომ ჩემს ძმაზე მეტად მე მსჯიდა, მეგონა, რომ უფროს შვილზე მეტად ზრუნავდა, მას უფრო უფრთხილდებოდა. ამ ყველაფრის მიზეზი კი ჩემი ეჭვები იყო.

***— როდის გაგიქარწყლდათ ეს ეჭვი?***

— ორი წელი ვერავის ვუმხელდი, ვერც ნათესავს და ვერც მეგობარს. მინდოდა, ჩემს ცხოვრებაში ეს თემა სამუდამოდ დამეხურა, მაგრამ თავს ვერ ვერეოდი, დროდადრო მაინც მახსენდებოდა. დედას ხმა მუდმივად ჩამესმოდა ყურში: შენ აყვანილი ხარ, ჩვენი შვილი არ ხარო. ამ ხმას ქვეცნობიერი ვერ ივიწყებდა. ერთხელ თითქოს ვულკანმა ამოხეთქა ჩემში, ქვითინი წამსკდა. მშობლები ვერ მიხვდნენ, ასე მოულოდნელად რა დამემართა. თავი ვერ შევიკავე და მამას კატეგორიულად მოვთხოვე, ჩემთვის დედას საფლავი ეჩვენებინა და აღებული ხელფასით მის საფლავზე ქვა დაედო. ქვის წარწერა კი მოფიქრებული მქონდა: ,,ერთადერთი შვილისგან ჩემს საყვარელ დედიკოს დიდი სიყვარულით“. ერთმანეთს გაკვირვებულებმა შეხედეს, მაშინ მივხვდი, რომ დავიწყებულიც ჰქონდათ ის ხუმრობა, რამაც ორი წელი მე ასე დამანგრია. გადამეხვივნენ, გულში ჩამიკრეს და მითხრეს, რომ ის უბრალო ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. დამარწმუნეს, რომ დედის გაჩენილი ვიყავი და სამშობიაროსთან გადაღებული სურათებიც დამათვალიერებინეს.

***— მას შემდეგ ეჭვი ბოლომდე გაგიქრათ?***

— იმ წუთებშივე დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მათი ბიოლოგიური შვილი ვიყავი და მას შემდეგ ამაში ეჭვი აღარ შემპარვია. თუმცა, რაც გავიზარდე, დედასთან მიჭირს ურთიერთობის დამყარება. თითქოს ერთმანეთს ვეღარც კი ვუგებთ. ისე ახლოს აღარ ვარ მასთან, როგორც ადრე. ვეღარ ვმეგობრობ, საიდუმლოს ვერ ვუმხელ და თითქოს ბოლომდე ვერ ვენდობი.

***— ანუ დედას ტყუილი ვერ აპატიეთ?***

— მე რა უფლება მაქვს არ ვაპატიო, როცა თავად უფალი გვპატიობს ამდენ ცოდვას, მით უმეტეს, როცა დედას ეხება. მას ყოველთვის შევუნდობ. უბრალოდ, ჩემი ბავშვური გონების ქვეცნობიერში დაილექა ეს ინფორმაცია და ალბათ ამის შედეგია ჩემი და დედას გაცივებული ურთიერთობა.

***— დედა თუ გრძნობს თქვენ შორის არსებულ ბარიერს?***

— არ ვიცი. მე ხშირად მითქვამს მისთვის, რომ ზედმეტად ცივია ჩემ მიმართ. ის კი მაშინვე მატერიალურს უკავშირებს. ფიქრობს, რომ მე უმადური შვილი ვარ და მისგან ფულად დახმარებას ვერ ვხედავ. მაგრამ ჩემთვის ფული არ არის მთავარი. გაცილებით მეტს მომცემს დედისგან სულიერი თანადგომა და ჰარმონიული ურთიერთობის დამყარება, ვიდრე ფული. ბევრის დათმენა მიწევს. ოჯახის წევრებისა და უცხო რძლის წინაშე, დედისგან სიტყვით გამათრახებასაც ვიტან და ვეგუები, მაგრამ გული ხომ მტკივა, რომ ასეთი მოქცევით უფრო ამძიმებს ჩვენს ურთიერთობას.

***— სხვა შვილებს როგორ ექცევა დედა?***

— მეჩვენება, რომ ჩემს ძმებთან ურთიერთობას უფრო უფრთხილდება, მათზე ცუდს არც თავად იტყვის და არც სხვას გააბედინებს. არ ვიცი რატომ, მაგრამ მათთან უფრო თავშეკავებული და გაწონასწორებულია, ალბათ იმიტომ, რომ ცხოვრებამ მე ბევრის ატანა მასწავლა და იცის, რომ ბევრ სხვა ტკივილთან ერთად დედის წყენასაც გაუძლებს ჩემი გული.

***— არ ეუბნებით, რომ მისი ასეთი მიდგომა თქვენთვის დამთრგუნველია, ძალიან გწყინთ და უმჯობესი იქნება მეთოდი შეცვალოს?***

— ბოლო დროს დავიღალე ამის გამეორებით. კონფლიქტს ვერიდები და აღარაფერს ვეუბნები. ხუმრობით თუ მივანიშნებ ხოლმე, რომ არ გაბრაზდეს. როცა სერიოზულად ვურჩევდი, ჩემ მიმართ მეტი სითბო გამოეჩინა, ესეც აღიზიანებდა და გამირბოდა. ახსნასაც არ მაცდიდა და საყვედურს უმადურობაში მითვლიდა. ადრე მასთან ჩახუტება ხშირად მინდოდა, მაგრამ შეხებისას ვგრძნობდი, რომ ესეც ეხამუშებოდა და თავიდან მიცილებდა, არადა დედის სითბო მინდოდა შემეგრძნო, მაგრამ ამის გამო კონფლიქტს ხომ არ წარმოვქმნიდი?

სპორტი

# ფედერაციასა და ნაკრებებს ახალი ლოგო ექნებათ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა სფფ-სა და ნაკრებების ახალი ლოგოები ერთხმად დაამტკიცა. რებრენდინგის პროცესი ფეხბურთის ფედერაციამ ერთი წლის წინ დაიწყო. ამ და სხვა სიახლეებზე სფფ-ის მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი — თათა ბურდული გვესაუბრება.



**თათა ბურდული:**

— უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი თანამშრომლობა ამ თემაზე ერთი წლის წინ დაიწყო. 2013 წლის თებერვალში ვიმყოფებოდი შვეიცარიაში, სადაც შევხვდი უეფას მარკეტინგის სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებმაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული ხუთი წამყვანი, მარკეტინგსა და ბრენდებზე მომუშავე კომპანიას შეგვახვედრეს. იქ გადაწყდა, რომელი კომპანია რომელ ფედერაციას მოემსახურებოდა. გადაწყდა, რომ სფფ-ის იმიჯსა და ბრენდზე იმუშავებდა ირლანდიური კომპანია „დესიგნ — ტაქტიკს“. ჩვენი ამ ერთწლიანი მუშაობის განმავლობაში, ეს კომპანია შეისყიდა უფრო დიდმა ირლანდიურმა კომპანიამ „დინამო“ და სფფ-ის ახალი ლოგო საბოლოო სახით უკვე ამ კომპანიის მიერ შეიქმნა; რა თქმა უნდა, ჩვენთან უშუალო კოოპერაციითა და მუშაობით.

***— სამუშაო პროცესის დაწყებას თუ უძღვოდა რამე წინ?***

— რა თქმა უნდა. მუშაობის დაწყებამდე, ჩვენ ჩავატარეთ ფეხბურთში დასაქმებული ადამიანების — ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების, ჟურნალისტების გამოკითხვა-გამოკვლევა, სპეციალური კითხვარების საშუალებით. სწორედ, ამ გამოკვლევაზე დაყრდნობითა და იმ გამოცდილებით, რაც უკვე გვქონდა, ფედერაციის ახალი ლოგო შეიქმნა, რომელიც სფფ-ის არსებობიდან დღემდე, რიგით მეექვსეა. თუმცა, არც ერთ აქამდე არსებულ ლოგოს არ ჰქონია ისეთი გრაციოზული გადასვლა ერთიდან მეორეში, როგორც ამ ახალ ლოგოს აქვს. მაგალითად, ფედერაციის არსებობის პირველ ათწლეულში არსებულ სამ ლოგოს შორის, არანაირი ბმა, კავშირი არ არსებობდა. ამ შემთხვევაში კი, ჩვენ გავითვალისწინეთ ტრადიციები, ნაციონალური ფერები, ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა და აქედან გამომდინარე, ჩვენს ირლანდიელ კოლეგებთან ყოველდღიური მუშაობის პროცესში განვსაზღვრეთ, თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული. ფედერაციას უნდა ჰქონდეს ისეთი ლოგო, რომელიც თავიდან ბოლომდე ასოცირებული იქნება იმ სტრუქტურასთან, რასაც ჰქვია ფეხბურთის ფედერაცია. ჩვენ გვინდოდა გაგვემიჯნა ფეხბურთის ფედერაცია, როგორც მმართველი, კანონშემოქმედი და მაკონტროლებელი ორგანო და სპორტული მხარე — ნაკრებები. ჩვენ გვინდოდა, რომ ეროვნულ ნაკრებს ჰქონოდა თავისი ნიშა, თავისი სახე და ფედერაციის წარმოჩენა სანაკრებო მაისურზე, უკანა პლანზე გადავიდეს, ქვეყანა უფრო მეტად

გაგრძელება მე-10 გვერდზე

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში 2000კვ.მ საკარმიდამო მიწის ხეხილიანი, დამუშავებული ნაკვეთი, სარწყავი და სასმელი წყლით. 1 კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 790-903296.

● ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● 53 კვ.მ. გარემონტებული კომერციული საოფისე ფართი, სველი წერტილით. მის: ვაკე, აბაშიძის ქ. 43. ფასი: 500 დოლარი ტელ: 597233437

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

# მსოფლიოს ჩემპიონატზე სენსაციებიც დაიწყო

### კოლუმბია – საბერძნეთი 3:0

**ბელუ ორიზონტე. მინეირანი**

1:0 არმერო (6), 2:0 გუტიერესი (58), 3:0 როდრიგესი (90)

**კოლუმბია:** ოსპინა, სუნიგა, იეპესი, ზაპატა, სანჩესი, იბარბო, კუარდადო, არმერო (არიასი 74), გუტიერესი (მარტინესი 76), როდრიგესი, აგილარი (მეხია 69)

**საბერძნეთი:** კარნეზისი, ტოროსიდისი, სამარასი, სალპინგიდისი (ფეტფადისი 57), პაპასტოპულოსი, მანოლასი, მანიატისი, კონე (კარაგუნისი 78), ჰობელასი, გეკასი (მიტროღლუ 64)

ეს ჯგუფი ყველაზე თანაბარი მოჩანს მთელ ჩემპიონატზე, თუმცა პირველივე მატჩმა ეს ფაქტი გააქარწყლა. მეორე დიდი ანგარიში სწორედ ამ მატჩში დაფიქსირდა. ვერ ვიტყვით, რომ სამხრეთ ამერიკელებმა ელინები უშანსოდ დატოვეს. ბერძნებს მომენტები ჰქონდათ, მაგრამ კოლუმბიელები უფრო ზუსტნი იყვნენ დამაგვირგვინებელ ფაზაში და უფრო მწვავედაც უტევდნენ.

დაიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო – კოლუმბიელთა უპირატესობით. გოლიც სწრაფი გავიდა: მე-6 წუთზე კუარდადოს პასით არმერომ ანგარიში გახსნა. კოლუმბიელებს, იმის მაგივრად, რომ თავისი თამაში დაეჭირათ, ბურთი მეტოქეს დაუთმეს და ტაიმის ბოლომდე ბერძნები უფრო აქტიურად გამოიყურებოდნენ.

ბურთზე კონტროლიც ევროპელების იყო და ორიოდე სახიფათო მომენტიც შექმნეს. აქედან, ერთხელ ოსპინამ აშკარა გოლისგან იხსნა თავისიანები.

მეორე ტაიმის დასაწყისი უფრო მხიარული გამოდგა. ჯერ სამარასი შეძვრა საჯარიმოში, მაგრამ თავისი ინიციატივით წაიქცა და მსაჯი ვერ გააცურა. ამას კოლუმბიელთა შეტევა და კარნეზისის სეივი მოჰყვა.

ბერძნებმა ცვლილებას მიმართეს, მაგრამ ბურთი იმავე წუთს მიიღეს – მომენტალურად კოლუმბიელები გააქტიურდნენ, რასაც კუთხური, შემდეგ კი საჯარიმოში ბერძენთა შეცდომა მოჰყვა, აგილარმა მცველებს დაასწრო, ბურთს მიმართულება შეუცვალა და კარის წინ მარტო მდგომ თეო გუტიერესს გატანა არ გასჭირვებია – 2:0.

ბერძნები მარცხის წინაშე დადგნენ და გააქტიურდნენ. მალევე ანგარიშის შემცირება შეეძლოთ, მაგრამ გეკასმა ურეალურესი მომენტი ვერ გამოიყენა – ბურთი ხარიხას გაარტყა.

პეკერმანმაც მიმართა ცვლილებებს, აქცენტი უფრო დაცვით ფეხბურთზე გააკეთა, მაგრამ კოლუმბიელები არც კონტრშეტევაზე წასვლას ერიდებოდნენ და უფრო იჩხვლიტებოდნენ, ვიდრე ბერძენთა შეტევების დროს იყო მოსალოდნელი.

მატჩის ბოლოს თამაშზე კონტროლი კოლუმბიელებმა დააწესეს და ბოლოს მესამე გოლიც მიითვალეს. კუარდადომ მეორე საგოლე პასი გააკეთა და ჯეიმს როდრიგესმა საბოლოო წერტილი დასვა – 3:0.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯეიმს როდრიგესი**

კოლუმბიელებმა საინტერესო ფეხბურთი აჩვენეს, როგორც ინდივიდუალურად, ისე – გუნდურად. შეტევაში კარგად გამოიყურებოდნენ როდრიგესი, კუარდადო, გუტიერესი. მათგან ჯეიმსი ყველაზე უკეთ ჩანდა. მიითვალა გოლი და საგოლე პასი. ამის გარდა, ერთხელ კიდევ შეეძლო გატანა.

### ურუგვაი – კოსტა რიკა 1:3

**ფორტალეზა. ესტადიო ადერალდო კასტელო**

1:0 კავანი (24პ), 1:1 კემპბელი (54), 1:2 დუარტე (57), 1:3 ურენია (84)

**ურუგვაი:** მუსლერა, ლუგანო, მაქსი პერეირა, კასერესი, გოდინი, როდრიგესი (ერნანდესი 76), გარგანო (გონსალესი 60), არევალო, ფორლანი (ლოდეირო 60), კავანი, სტუანი

**კოსტა რიკა:** ნავასი, უმანია, დიასი, დუარტე, გამბოა, გონსალესი, ბორხესი, ბოლანიოსი (ბარანტესი 89), ტეხედა (კუბერო 75), რუისი (ურენია 83), კემპბელი

**გაძევება:** პერეირა (90)

მსოფლიოს ჩემპიონატებზე რამე სენსაცია რომ არ „გამოხტეს“ ისე როგორ იქნება. ჯერჯერობით, ყველაზე ხმაურიან სენსაციად ეს მატჩი უნდა მივიჩნიოთ. როდესაც სიკვდილის ჯგუფზე საუბრობდნენ, კოსტა რიკას ყურადღებას არავინ აქცევდა და აქცენტი 3 მსოფლიოს ჩემპიონზე იყო გადატანილი. კოსტარიკელებმა კი ყველაფერი არიეს.

თანაც, წაგებაც არის და წაგებაც: ურუგვაის, რეალურად, გატანილი თერთმეტმეტრიანის გარდა, ღირებული არაფერი შეუქმნია და აშკარად გამოჩნდა, რომ ლუის სუარესი ძალიან აკლდა გუნდს, დიეგო ფორლანი ფორმაში არ იყო და ედინსონ კავანიმ გოლის მერე საერთოდ დაგვავიწყა მოედანზე მისი არსებობა.

24-ე წუთზე კავანიმ კი გახსნა ანგარიში, მაგრამ მერე კოსტა რიკა გააქტიურდა და მომენტების შექმნაც დაიწყო, მეორე ტაიმიდან კი უკვე გოლების გატანაც: სამწუთიან ინტერვალში კემპბელმა და დუარტემ წინ გაიყვანეს თავიანთი გუნდი.

ამის მერე მხოლოდ სამი წუთი იყო ისეთი, როდესაც ურუგვაი რაღაცას დაემსგავსა და გააქტიურება დაიწყო, თუმცა... 84-ე წუთზე ურენიამ, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წამის წინ იყო შემოსული, საბოლოოდ დასვა წერტილი.

ურუგვაელთა ისედაც საშინელ განწყობას მაქსი პერეირას გაძევებაც დაემატა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აშკარად იმსახურებდა ამას.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჯოელ კემბელი**

ახალგაზრდა ფეხბურთელმა თავი ყველაფრით დაგვამახსოვრა. თურმე ტყუილად არ აუგანია კემბელი და ახლა მის შენარჩუნებას ფიქრობენ. ჯოელს გამუდმებულ წნეხში ჰყავდა მეტოქის დაცვა, რამდენჯერმე სახიფათოდ დაემუქრა, გაიტანა გოლი და გააკეთა შესანიშნავი საგოლე პასი.

### ინგლისი – იტალია 1:2

**მანაუსი. არენა ამაზონია**

0:1 მარკიზიო (35), 1:1 სტარიჯი (37), 1:2 ბალოტელი (50)

**ინგლისი:** ჰარტი, ჯონსონი, კეიჰილი, იაგიელკა, ბეინსი, ჰენდერსონი (უილშირი 73), ჯერარდი, სტერლინგი, რუნი, უელბეკი (ბარკლი 61), სტარიჯი (ლალანა 81)

**იტალია:** სირიგუ, დამიანი, პალეტა, ბარძალი, კიელინი, ვერატი (მოტა 57), მარკიზიო, დე როსი, პირლო, კანდრევა (პაროლო 79), ბალოტელი (იმობილე 73)

ურუგვაის ნაკრების მოულოდნელი მარცხის შემდეგ, უკვე ფავორიტთა თანაბარ ბრძოლაში მოიგო უფრო გამოცდილმა გუნდმა. საგოლე მომენტები არც ინგლისელებს ჰქონიათ ნაკლები, მაგრამ მოიგო იმან, რომელმაც უკეთ გამოიყენა. თავიდან ფრთხილი თამაში წავიდა, ბურთს იტალია აკონტროლებდა, მომენტი კი ინგლისმა შექმნა. დანიელ სტარიჯიმ შორიდან ისეთი გაისროლა, ყველას გოლი ეგონა.

გუნდები დაფრთხნენ, უფრო მშვიდად გააგრძელეს თამაში, მაგრამ მარკიზიოს შორეულმა დარტყმამ სიტუაცია არია. ჯერ იტალია დაწინაურდა, თუმცა მალევე იმავე სტარიჯიმ იტალიელებს შეცდომა არ აპატია – 1:1.

ტაიმის ბოლოს კანდრევასა და ბალოტელის დარტყმები ვიხილეთ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

ამ ფეხბურთელებმა გოლი მაინც შექმნეს – კანდრევამ ჩააწოდა და ბალოტელიმ თავით შეაგდო. იტალია მეორედ დაწინაურდა და პირველი შეცდომა არ გაიმეორა – თამაში მშვიდად მიიყვანა ლოგიკურ დასასრულამდე, თანაც ისე, რომ ინგლისელებს შანსი არ დაუტოვა.

მეტიც, პირლომ ძელს გაარტყა... მართალია, ვერ გაიტანა, მაგრამ ინგლისსა და ურუგვაის საომარი დაუტოვა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანდრეა პირლო**

ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მატჩი ვერ ჩაამთავრეს, პირლომ კი მთელი თამაში ირბინა. მართალია, 90 წუთის მანძილზე წინ და უკან სირბილი უჭირს, მაგრამ მომენტებში თამაშს „აკეთებს“. პირველ გოლზე ეფექტურად გაუტარა ბურთი მარკიზიოს, შესანიშნავად დაარტყა ჯარიმა, დირიჟორობდა გუნდის შეტევებს.

### კოტ-დივუარი – იაპონია 2:1

**რესიფე. პერნამბუკუ**

0:1 ჰონდა (16), 1:1 ბონი (64), 2:1 ჟერვინიო (66)

**კოტ-დივუარი:** ბერი, ბოკა (აკპა აკპრო 75), სოკორა, ბამბა, ორიე, დიე (დროგბა 62), ტიოტე, იაია ტურე, კალუ, ბონი (ია კონანი 78), ჟერვინიო

**იაპონია:** კავაშიმა, ნაგატომო, იოშიდა, მორიშიგე, უჩიდა, ჰასებე (ენდო 54), იამაგუჩი, კაგავა (კაკიტანი 86), ჰონდა, ოკაზაკი, ოსაკო (ოკუბო 67)

დრამატურლი გამოდგა მატჩი, ხოლო დიდიე დროგბა ფეხბედნიერი. სწორედ მისი მოედანზე შესვლის შემდეგ ვიხილეთ სხვა კოტ დივუარი.

მოულოდნელობა იყო დიდიე დროგბა სასტარტო შემადგენლობაში რომ ვერ ვიხილეთ. მატჩი კი, იაპონელთა უპირატესობით დაიწყო, მე-16 წუთზე კი ანგარიშიც გახსნეს – კეისუკე ჰონდა იაია ტურეს იოლად გასცდა და მშვენიერი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მომენტებს კვლავ იაპონია ქმნიდა, მაგრამ აცუტო უჩიდას და ჰონდას მიზანმა უმტყუნა.

პირველი ტაიმის მეორე ნახევრიდან კი ივუარელები დაეუფლნენ უპირატესობას. სახიფათო მომენტები ტურემ, სალომონ კალუმ და არტურ ბოკამ რამდენჯერმე შექმნეს, მაგრამ მათ დარტყმებს შედეგი არ მოჰქონდა.

კოტდივუარმა მეორე ტაიმიც აქტიურად დაიწყო, გოლები კი, როგორც უკვე გითხარით, მას შემდეგ გავიდა, რაც მოედანზე დიდიე დროგბა შევიდა. „გალათასარაის“ ფეხბურთელმა თავისიანები კიდევ უფრო გამოაცოცხლა. 64-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა. სერჟ ორიემ ორი საგოლე პასი ზედიზედ მიითვალა. ბონიმ გაათანაბრა, ზუსტად ორ წუთში კი ჟერვინიომ აფრიკელებს გამარჯვება მოუტანა.

მატჩის დასრულებამდე დროგბას ორჯერ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – დიდიე დროგბა**

კაცი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა. შეიძლება ითქვას, რომ მისი შემადგენლობაში არდაყენება, შეცდომა იყო. ერთი საათის განმავლობაში „სპილოებმა“ ვერაფერი ღირებული ვერ შექმნეს, დროგბას გამოსვლამ კი მისიანები მოგებამდე მიიყვანა. დიდიეს ლიდერის ფენომენალური თვისებები აქვს, რომელმაც სული მისცა გუნდს. ასევე გამოსარჩევია ორი საგოლე პასის ავტორი სერჟ ორიე, ჟერვინიო და ბონი.

# ფიფამ შეიძლება არგენტინა დასაჯოს




ფიფამ არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ აღძრული საქმე გახსნილად გამოაცხადა. საქმის მიზეზი კი ბანერი გახლდათ, რომელიც არგენტინის ნაკრებმა სლოვენიის წინააღმდეგ გამართული ამხანაგური მატჩის დროს გამოფინეს. შეხვედრა 2 ივნისს შედგა და არგენტინელთა გამარჯვებით – 2:0 დასრულდა.

მატჩის წინ არგენტინელებმა ბანერი გამოფინეს, სადაც შემდეგი რამ ეწერა – ფოლკლენდის კუნძულები არგენტინას ეკუთვნის (არგენტინაში მას მალვინის კუნძულებად მოიხსენიებენ). ამ ფაქტის გამო ფიფამ გამოძიების ჩატარება დაიწყო, რადგან ამით ფეხბურთის პრინციპი დაირღვა. ფეხბურთი აპოლიტიკურია და აქ მსგავსი ტიპის ქმედებები არ შეიძლება.

შეგახსენებთ, რომ ფოლკლენდის კუნძულები დიდი ბრიტანეთის საკუთრებაა. 1982 წელს დიდი ბრიტანეთი და არგენტინა სწორედ ამ კუნძულების გამო ჩაება ომში, რომელიც ბრიტანელების გამარჯვებით დასრულდა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# საქართველომ თბილისის თასი მოგებით დაიწყო

### საქართველო – ესპანეთი 23:13

**საქართველო:** ბექა წიკლაური, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა, რეზო გიგაური, სანდრო თოდუა, ლაშა მალაღურაძე, გიორგი ბეგაძე (გიორგი როხვაძე 74); ზურაბ ჟვანია (გიორგი მჭედლიშვილი 66), შალვა მამუკაშვილი (სიმონ მაისურაძე 49), დუდუ ქუბრიაშვილი, გიორგი ნემსაძე (ლაშა ლომიძე 66), კოტე მიქაუტაძე, შალვა სუთიაშვილი (მურაზ გიორგაძე 79), გიორგი თხილაიშვილი (გივი ბერიშვილი 66), დიმიტრი ბასილაია

**მარქაფა:** ირაკლი ყიასაშვილი

**ესპანეთი:** ხავიერ კარიონი, ალბერტო დიასი, იგნასიო გუტიერეს-მიულერი, დენიელ-როს სნი, სერხიო ფერნანდესი, მარიანო-ესეკიელ გარსია, ფაკუნდო მუნიჯა; ფრანსისკო-ხავიერ სანსი, ხუან ანაია (რომენ აზენსი 17), ხესუს მორენო; ალეხანდრო ბლანკო, ვიკტორ სანჩესი, მანუელ მორა, ადამ-რობერტ ნიუთონი, ხაიმე ნავა



**მარქაფა:** გაბრიელ-აგუსტინ ორტისი, გილერმო ესპინოსი, ხოსელუის დელ-ვაჯე, პაბლო ფონტესი, ალეხანდრო გუტიერეს-მიულერი, ფრანსისკო კოპლეტი

თამაში ქართველთა უპირატესობით წარიმართა, ტერიტორიას და ბურთს აკონტროლებდნენ, მაგრამ ბოლო ფაზაში მცირედი აკლდებოდათ. ესპანელებმა ქართველთა ზეწოლას ვერ გაუძლეს, დაჯარიმდნენ და მე-17 წუთზე წიკლაურმა ანგარიში გახსნა – 3:0. მალევე ჩვენებმა ჯარიმის დარტყმა აღარ იკადრეს და 5-მეტრიანი აუტი მოიპოვეს, რომელიც ცუდად მოაწოდეს და შესანიშნავი შანსი გაუშვეს ხელიდან.

ესპანელებმა ქართველთა შეცდომა ვერ შეირგეს, ბურთი ჩვენებს გადმოაბარეს და რამდენიმე მიძალების შემდეგ მალაღურაძემ ბურთი ფეხით ჩაკიდა მეტოქის ჩათვლის მოედანში, სადაც მჭედლიძემ ჰაერიდან დაამიწა. წიკლაურმა გარდასახვა ძელს გაარტყა – 8:0.

ცოტა სტუმრებმაც გაიბრძოლეს და 31-ე წუთზე ჯარიმის უფლება მიიღეს, მაგრამ როს სნიმ ხელსაყრელი სიტუაციიდან ააცილა.

თითქოს ქართველებს არანაირი საფრთხე არ ემუქრებოდათ, მაგრამ წიკლაურმა უხეში შეცდომა დაუშვა, ნიუთონმა კი ხელიდან არ გაუშვა თავისი შანსი და ლელო ძელებს შორის დაამიწა, გარიამ ზუსტად გარდასახა – 8:7.

ქართველებმა მეტოქეს „თავხედობა“ არ აპატიეს და სალელოვეს იქვე შეუტიეს. მამუკაშვილმა საკმაოდ იოლად შეაღწია მეტოქის ჩათვლის მოედანში – 15:7.

ქართველებმა იგრძნეს, რომ მეტოქეს უფრო იოლად გატეხავდნენ და უფრო მძლავრად შეუტიეს, ამჯერად კარგად გაშალეს შეტევა და სანდრო თოდუამ კიდეზე კარგად ჩაირბინა, რასაც მორიგი ლელო მოჰყვა. წიკლაურს რთული კუთხიდან გარდასახვა გაუცუდდა – 20:7.

მეორე ტაიმი შედარებით მშვიდად, მაგრამ ისევ ქართველთა უპირატესობით დაიწყო. მალე ჯარიმის უფლება მივიღეთ, რომელიც აუტში კი გადავიტანეთ, მაგრამ ჩათვლის მოედნიდან მოშორებით. დერეფნიდან მოგებულ ბურთს შეტევა კი მოჰყვა, მაგრამ ბურთი დავკარგეთ.

ესპანელებს ბურთის ამოტანა უჭირდათ, ჩვენები შეტევას შეტევაზე ახორციელებდნენ, მაგრამ ბოლო ფაზა არ ჩანდა.

ამასობაში, ესპანელებიც გათამამდნენ და ჯარიმით ოდნავ შეამცირეს სხვაობა – 20:10. ამას ქართველთა შეტევა მოჰყვა და ლელოს ცრუ განგაში.

ამის შემდეგ თამაში ესპანელთა ნახევარზე გაგრძელდა, მაგრამ ლელო არ ჩანდა. მატჩის დასრულებამდე 5 წუთით მჭედლიძემ კი შეაღწია ჩათვლის მოედანში, მაგრამ მსაჯმა გააუქმა.

პრემიალურით მოგების შანსი ერთხელაც იყო, მაგრამ ბოლო მომენტში ვცოდავდით. შემდეგ ესპანელებმა ჯარიმა გაიტანეს – 20:13.

პრემიისკენ აღარ „გავიქაჩეთ“, ბოლო წუთზე ახლოში დანიშნული ჯარიმა კარში დავარტყით და მატჩიც 23:13 მორჩა.

ტურნირის მეორე თამაში არგენტინელ „იაგუარებსა“ (ა ნაკრები) და მზარდ იტალიას შორის გაიმართა. „იაგუარებმა“ 45:20 იმარჯვეს და პრემიალური ქულა მოიპოვეს. შესაბამისად, ჯგუფში პირველ ადგილზე არგენტინელები არიან.

**მილტონ ჰეიგი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– კმაყოფილები არ ვართ. ძალიან ცუდი თამაში იყო, მეორე ტაიმში განსაკუთრებით. ამაზე ვისაუბრეთ უკვე გასახდელში. ტესტის შედეგი მოქმედებს რეიტინგზე, ამიტომ უნდა გამოვასწოროთ ხარისხი. საქმის შესრულება თანაბრად, ხარისხიანად უნდა გავაგრძელოთ. კარგად ითამაშა რამდენიმე მოთამაშემ. ლაშა ლომიძე კარგად ჩაერთო. გაისად მსოფლიო თასია და მოგვიწევს რამდენიმე მორაგბეზე დაყრდნობა. უნდა გავაუმჯობესოთ თამაშის ხარისხი, ეს ტურნირიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ვეცდებით უკეთესი რაგბი ვაჩვენოთ.

**სანტიაგო სანტოსი, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

– კმაყოფილი ვარ ჩემი გუნდის თამაშით. შევასრულეთ ის, რაც დაგეგმილი გვქონდა. დადებითად ვაფასებ დღევანდელ შედეგს. ჩვენ შეჯიბრზე ვიმყოფებით, სადაც ქულებს დიდი მნიშვნელობა აქვს. მოვახერხეთ ანგარიშის შემცირება. დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი დონის ტურნირებზე გამოსვლას, რადგან გუნდის ზრდისა და განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

**ხაიმე ნავა, ესპანეთის ნაკრების კაპიტანი:**

– ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია. ჩვენი მთავარი მიზანი გუნდის შენება და განვითარებაა. კარგი შედეგების ჩვენებას და კარგ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს. იმედი გვაქვს კიდევ მსგავს ტურნირზე ასპარეზობის საშუალება მოგვეცემა. ამაყი ვარ ჩემი გუნდის თამაშით, რადგან ძალიან ახალგაზრდა მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. საქართველო ამ ტურნირზე გამორჩეულია და ამაყი ვარ, რომ ამ დონეზე ვეთამაშეთ.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-საბერძნეთი | 3:0 |
| ურუგვაი-კოსტა რიკა | 1:3 |
| ინგლისი-იტალია | 1:2 |
| კოტ დივუარი-იაპონია | 2:1 |

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

დასაწყისი N 134-139

ქართული დეტექტივი — მაკა სეთაშვილი

# ვირუსი

## 22

ბეა ოფისში, საკუთარ კაბინეტში იჯდა და ფანჯრის მიღმა გადაშლილ ურბანისტულ პეიზაჟს გასცქეროდა, ფიქრისგან შუბლი შეეჭმუხნა, ქალაქის ხმაური ყრუ გუგუნის ხმად აღწევდა. მისი ფიქრები და აზრები ტვინის უსასრულო ლაბირინთებში დაჰქროდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ერთ დიდ და მაგარ კედელს ეჯახებოდნენ; ეს კედელი ის ამოცანა იყო, რომლის გადაჭრასაც ლამობდა.

,,სულ პატარა, პაწაწინა რაღაც რომ მაპოვნინა, რაც ჩემი მშობლების სიკვდილის საიდუმლოებას ფარდას ახდის, უკვე რამდენი ხანია, რაც დევის კაბინეტში შესვლას უშედეგოდ ვცდილობ, არაფერი გამომდის, სულ ვიღაცები ტრიალებენ, კიდევ ერთხელ, დღესაც ვცდი, აუცილებლად უნდა ვნახო, კომპიუტერში რას ინახავს!“

ტელეფონის ყურმილს ხელი დასტაცა და მდივანი იხმო.

— ნათია, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. შეგიძლია, კიდევ ერთხელ დამეხმარო?

— გასაგებია, — მდივანმა ტუჩები მოკუმა, — ისევ ყავის სადუღარა უნდა გავაფუჭო?

ამაზე ბეას გულიანად გაეცინა, თითქოს დაღლილობაც მოეხსნა.

— არ ვიცი, რაც გინდა, ის გააკეთე, მაგრამ დევის ოთახში დღესაც უნდა შევიდე!

## 23

საღამოს დამლაგებელმა ნათია მარტო რომ დაინახა, მისალმებისას მხოლოდ თავი დაუკრა, არაფერი უთხრა, დღეს რაღაც გუნებაზე ვერ იყო. ლენა დევის ოთახში შევიდა, იქაურობა მიალაგა, ნაგვის ყუთები დაცალა, შუქი გამორთო და გამოსვლისას კარი ჩაკეტა.

— ნათია, შენ კიდევ აქ ხარ? — დერეფანში მდივანს შეეჩეხა, — რატომ არ მიდიხარ?

— ბევრი საქმე მაქვს და მირჩევნია, დღეს დავამთავრო. ახლა ავდექი და ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-მეთქი. არ გინდათ, სამზარეულოში ყავა დავლიოთ? თან მაცივარში ნამცხვარიც გვაქვს.

— კარგი, ცოტა ხნით შეიძლება.

ისინი სამზარეულოში გავიდნენ, დამლაგებელს ხელში გასაღებების დიდი აცმა ეჭირა.

— იმის მერე ამ ყავის სადუღარასთან მისვლის მეშინია, — ნათიამ გაუღიმა, ორი ჭიქა შეავსო და სამზარეულოში გავიდნენ. ლენამ გასაღებები მაგიდაზე დადო.

— ჯობია, ამას გავიხდი, ცოტა არ იყოს დამცხა, — მდივანმა პიჯაკი გაიხადა და გასაღებებს ზემოდან დაადო.

— მე ერთი წუთით, კომპიუტერს გამოვრთავ და ახლავე დავბრუნდები, — ნათია გავიდა.

ოთახის კართან ბეა უცდიდა, ნათიამ მას გასაღებების აცმა მიაწოდა.

ბეა ამჯერად უფრო მეტად ღელავდა. სასწრაფოდ კომპიუტერს მივარდა და დევის დოკუმენტების საქაღალდეში შევიდა. მონიტორზე ფანჯარა გამოჩნდა და პაროლის შეყვანა სთხოვა. აკანკალებულმა ჯიბიდან პატარა ფურცელი ამოიღო და ის გამოთვლილი ციფრები აკრიფა, რაც მან იმ წერილის გაშიფვრისას მიიღო.

— ღმერთო, დამეხმარე, — ჩაიჩურჩულა და პირველი კომბინაცია 283738ე აკრიფა, მაგრამ ამაოდ, არ გაიხსნა.

— ნუთუ ვცდები, რატომ მეგონა... აბა, მეორე რომ ვცადო?! კარგი, ესე იგი, 21237385, — და ღილაკს დააჭირა.

კომპიუტერმა დაიწკაპუნა, მისდა გასაოცრად, პაროლმა იმოქმედა.

ბეა სიხარულისგან თვალებს არ უჯერებდა, ჯიბიდან დისკი ამოიღო და დოკუმენტები გადაიწერა.

— ახლა ამის კითხვის დრო არ არის, უმჯობესია, სახლში ვნახავ.

კომპიუტერი გამორთო. გრძნობებისგან დაღლილი და თან გახარებული გარეთ გამოვიდა და კარი ჩაკეტა. ბარბაცით თავის ოთახში შევიდა და თვალდახუჭული კედელს აესვეტა.

## 24

— სესილი ბაზაძის მომმარაგებელი შაპირ ბაზაევი ყაზახეთის სამართალდამცავებმა გუშინ ფაქტზე დააკავეს.

თემომ ბაზაევის სურათი აიღო და წარბშეკრული დააშტერდა. ფოტოზე ორმოცდაათ წლამდე მამაკაცი იყო გამოსახული, დაბღვერილი სახით. დაბალი დანაოჭებული შუბლი და გადანასკვული წარბები ჰქონდა.

— ბაზაევს აღიარება არ უნდოდა, მაგრამ, — ვასომ გარშემომყოფთ თვალი მოავლო, — მას საკუთარი ქსოვილების ფაბრიკა აქვს, როგორც ჩანს, რამდენიმეჯერ საქართველოშიც არის ნამყოფი. ისინი შიგნით მუყაოს საფენს ყველა ფეხსაცმელს უკეთებდნენ, მებაჟეებს ეჭვი რომ არ აეღოთ, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთ მათგანში იდო კოკაინი. მართალია, ამ გზით წამლის დიდი რაოდენობით შემოტანას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ რომ დასცლოდათ, ბიზნესს უფრო გააფართოებდნენ.

— დღეს ყაზახეთში მივდივართ, ბაზაევი პირადად უნდა დავკითხოთ, — თქვა მეორემ, თენგომ.

— ბაზაევი და სესილი ბაზაძე უბრალო პაიკები არიან, — ვასომ ხელი ნიკაპზე მოისვა და ფურცლები საქაღალდეში ჩადო, — ჩვენ ასთავიან ურჩხულს მხოლოდ ერთი თავი გავაგდებინეთ, ქვეყანაში ნარკოტიკების შემოტანის ერთ გზას მივაკვლიეთ, მაგრამ კიდევ რამდენია. ეს სენი ისე, უბრალოდ, თავს არ დაგვანებებს.

— რამდენი ბილწი და უპრინციპო ადამიანია, ვინც ამის საშუალებით ფულს შოულობს, — სოფო სინანულით დაეთანხმა.

— ისე, ქალბატონო სოფიკო, თქვენი გამჭრიახობის შესახებ ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, — ვასომ აღფრთოვანებული ხმით უთხრა, — წებოს ამბავს მაინც საიდან მიხვდით? პირდაპირ გასაოცარია. როცა ბაზაძეზე პირველად ეჭვი გაჩნდა, ჩვენ აეროპორტში მისი ყუთები დავათვალიერეთ. რასაკვირველია, ამ საქმეში გამოცდილი ძაღლებიც მივიყვანეთ, მაგრამ მათ ვერაფერი იყნოსეს. თითქმის დარწმუნებულები ვიყავით, რომ სესილის ნარკოტიკებთან ჰქონდა კავშირი, მაგრამ ვერ დავადგინეთ, ეს უბრალოდ დროის ამბავი იყო; მან გამობრძმედილ ნარკოდილერად ჩამოყალიბება ვერ მოასწრო, მალე ჩავარდა.

— მე დაწვრილებით მოგიყევით, — ნინიძემ გორგოლაჭებიანი სკამი შეატრიალ-შემოატრიალა, — როცა სესილი ბაზაძის ფეხსაცმელების მაღაზიაში ვიყავით, ის ჭორიკანა ქალი ვერც კი მიხვდა, რა სასარგებლო ინფორმაცია მოგვცა; მართლაც უცნაური იყო, რატომ უნდა ჩაედოთ ფეხსაცმელებში ზედმეტი კარდონი, ან სულაც ის წებო. ალბათ, ყველას ჰქონია მსგავსი სიტუაცია, როცა ფეხსაცმელს მეწაღესთან წავიღებთ ხოლმე და შეაკეთებს, რა საშინელი სუნი აქვს, ძაღლსაც კი ყნოსვას დააკარგვინებს. ყველაფერი ერთმანეთს დავუკავშირე და ეს შედეგიც მივიღე.

— სესილი ბაზაძე არ არის ძალიან სერიოზული ფიგურა, — თენგომ გააგრძელა, — ჩვენ დევი დოლაბერიძე უფრო გვაინტერესებს.

— მის საწინააღმდეგოდ არაფერი გვაქვს, — სოფიკომ ორი თითი საფეთქელთან მიიდო და იდაყვი მაგიდაზე ჩამოდო, — მერე რა, რომ ის და სესილი საყვარლები არიან, თუკი შაპირ ბაზაევმა მასთან ურთიერთობა აღიარა, საქმის ვითარება შეიცვლება, მაგრამ მაინც, — ქალმა უკმაყოფილოდ წარბები შეჭმუხნა.

— იმ ფულზე რას იტყვით, დევიმ ანრი ბისონს რომ მოპარა? — თემომ სკამიდან ოდნავ წამოიწია.

— მართლაც, — ნინიძემ თემოს მიმართულებით თითი დაიქნია, — მაგრამ ეს ჯერ უნდა დავამტკიცოთ.

— ბისონის საქმე ჯერ არ დამთავრებულა?

— ჯერ არა, — გამომძიებელი უსიამოვნოდ შეიშმუშნა, — ერთი კია, სესილი ბაზაძის საქმის შემდეგ მისი მკვლელობის მოტივი ამოტივტივდა, მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდია. მოკლედ გეტყვით, ანრი ბისონს ბიზნესისათვის ერთი სათადარიგო ანგარიში ჰქონდა, მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ამ ანგარიშიდან ვიღაცამ მთელი ფული, სულ ორი მილიონი დოლარი, მოხსნა. შესაძლოა, ბისონმა ამის შესახებ შეიტყო, ქურდსაც მიაგნო და ამიტომ მოკლეს; მაგრამ ვიმეორებ, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ვერსიაა, ამას ჯერ დამტკიცება უნდა.

— იმ ფულთან ხელი ვისაც მიუწვდებოდა, ერთ-ერთი მათგანი დევი დოლაბერიძეა, არა? — ვასომ გამოცნობა სცადა.

გამომძიებელმა თავი დაუქნია.

— სწორედ ამიტომაა დოლაბერიძის ნახვა საჭირო, მაგრამ ჯერ ბაზაევს დავკითხავთ და თუ მან დევისთან მეგობრობა აღიარა, მაშინ... — ვასო წამოდგა, ადგა თენგოც.

— ჩვენ ორ დღეში დავბრუნდებით, — თენგომ ღიმილით სოფოს და თემოს ხელი მაგრად ჩამოართვა.

— წარმატებებს გისურვებთ, — თემომ მამაკაცები გააცილა და ორ წუთში უკან შემობრუნდა.

ნინიძე მაგიდასთან იჯდა და წინ იყურებოდა. სიჩუმე ტელეფონის ხმამ დაარღვია. გამომძიებელი აპარატს დასწვდა.

— ბეა, როგორ ხარ?

— მართლა?.. როდის?.. — სოფოს ხმა დაეძაბა, სახე შეეცვალა, — კარგი, გასაგებია, — და ყურმილი დადო. პირქუში გამომეტყველებით თემოს მიაჩერდა.

— დევი დოლაბერიძე მოკლეს! — თქვა პირგამშრალმა, — დილით მის მდივანს უპოვია კაბინეტში მკვდარი!

ორივე ადგილზე გაშეშდა, საქმის ასეთ შემოტრიალებას არავინ ელოდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## სკანვორდი



1. ინტერნეტით დისტანციური საუბრის საშუალება; 2. ქალაქი რაჭაში; 3. ჯ.მაზინას კინოროლი; 4. მდინარე იტალიაში; 5. ალმასის სახესხვაობა; 6. მსხვილი საფინანსო-სავაჭრო გარიგებების ადგილი; 7. შვლის ნაშიერი; 8. საზღვაო მოგზაურობა; 9. სერბი პოეტი (1876-1938); 10. ბედ-იღბალი; 11. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 12. ...-ა-... ანუ პირისპირ; 13. იტალიური მოხდილი ყველი; 14. იგივეა, რაც ლეოპარდი; 15. ათენის ცენტრის აკროპოლისის ძირითადი ნაგებობა; 16. ხანა, ეპოქა; 17. მსოფლიოს მეხუთე ჩემპიონი ჭადრაკში; 18. პატარა სარწყავი არხი; 19. მთავრობის დადგენილება პატიმართა სასჯელის შემსუბუქების ან მოხსნის შესახებ; 20. ... აგასი; 21. მსხვილი მონარქიული სახელმწიფო; 22. მტრედების რაზმის გადაშენებული ფრინველი; 23. საჩხვლეტი იარაღი ფარიკაობის დროს; 24. ავსტრია-გერმანიის თოჯინების თეატრის კომიკური პერსონაჟი; 25. ქალბატონი (ფრანგულად); 26. ავსტრალიური სირაქლემა; 27. შეუწვავი, მოუხარშავი; 28. რისამე განუწყვეტლივ ჩატარება დროის გარკვეულ მონაკვეთში; 29. ლალი ... (დრამატურგი); 30. მამალი ცხენი; 31. ქიმიური ელემენტი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები

#### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. „გუდვილი“; 2. ჩიჩისბეი; 3. სტურუა; 4. ნუსხა; 5. დიამეტრი; 8. „ფალსტაფი“; 12. დოხა; 13. საგარეჯო; 14. მიკადო; 16. ჯომარდი; 18. გორდა; 20. „სონი“.

**თარაზულად:** 6. სუფლიორი; 7. ბატიბუტი; 8. ფაზისი; 9. გინზა; 10. აბორდაჟი; 11. „გარდიანი“; 15. კალიფორნია; 17. შაპიტო; 19. დიოსკურია; 21. კელნერი; 22. ჩოხატაური; 23. „ჰილტონი“.

#### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. „კრახუნა“; 2. ბელუჩი; 3. ხონთქარი; 4. ბიპოლიდი; 7. ჩაინტაუნი; 8. ჰოლდინგი; 12. ხაჭაპური; 14. ვალტორნა; 16. პორტერი; 17. ჟურნალი; 19. მოლა; 20. ვონი.

**თარაზულად:** 5. ღრმაღელე; 6. აკორდეონი; 9. ნუტრია; 10. ჩარექა; 11. ალაფი; 13. გაუდი; 15. „მალიბუ“; 18. მონეი; 21. პრიმატორი; 22. ევკომია; 23. ფაიფური.

## სპორტი

# წყალბურთელთა მეორე ადგილი ავსტრიაში

ავსტრიაში, წყალბურთში ოთხთა ტურნირი გაიმართა, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. ჩვენი მეტოქეები რუმინეთის, სლოვაკეთისა და ჰოლანდიის ნაკრებები იყვნენ. აღნიშნული ტურნირი ჩვენი ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპია, მასში მონაწილეობა კი ძალიან სასარგებლო და მნიშვნელოვანია.

ჩვენებმა პირველი მატჩი რუმინეთთან გამართეს და ფრედ 10:10 ითამაშეს. მეორე თამაში სლოვაკებს 13:12 მოუგეს და ფინალში თამაშის უფლება გაინაღდეს, რადგან ბოლო ტურში აუტსაიდერ ჰოლანდიას სძლიეს.

პირველ-მეორე ადგილზე გასულ რუმინეთსა და საქართველოს შორის ფინალური მატჩი გაიმართა, რომელიც ჩვენებმა 12:7 დათმეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ.

შეგახსენებთ, 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქი ბუდაპეშტი წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდი ჩაებმება.

მედლებისთვის იბრძოლებენ: ა ჯგუფი. იტალია, საბერძნეთი, რუმინეთი, ჩერნოგორია, რუსეთი, საქართველო. ბ ჯგუფი. ხორვატია, უნგრეთი, სერბეთი, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი.

საქართველოს ნაკრები ევროპის 12 საუკეთესო გუნდს შორის პირველად ითამაშებს.

მ. ჟ.

# ფედერაციასა და ნაკრებებს ახალი ლოგო ექნებათ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

წარმოჩნდეს. შესაბამისად, ნაკრებს ექნება თავისი ლოგო წარწერით — გეორგია. სექტემბრიდან, როცა ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება, ყველა ნაკრები ითამაშებს ახალი ლოგოთი, რადგან ნაკრებები თამაშობენ არა რომელიმე ორგანიზაციის, არამედ ქვეყნის სახელით. თუ გულწრფელად ვიტყვით, მარკეტინგული გათვლებითაც უკეთესია შეიძინო პროდუქცია, რომელიც ქვეყნის გამომხატველია და არა რომელიმე ორგანიზაციის.

***— რაც შეეხება სლოგანებს... ფედერაციაში სიახლეებია ამ მიმართულებითაც***

— აქამდე, ფეხბურთის ფედერაციას, როგორც ასეთი, საკუთარი სლოგანი არ ჰქონია. ყველას ახსოვს, რომ იყო ფან-კლუბის სლოგანი — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“, რომელიც შემდეგ, რატომღაც ფედერაციის სლოგანიც გახდა. დღეისათვის, ფეხბურთის ფედერაციას უკვე აქვს ორი სლოგანი — იცხოვრე და გიყვარდეს ფეხბურთი და მეორე — ტრადიციებისა და თამაშის პატივისცემა. ორივე სლოგანი კარგად ერგება როგორც ფედერაციას, ასევე ნაკრებს.

***— როგორი გათვლა აქვს ფეხბურთის ფედერაციას, როგორ რეაქციებს ელოდება საზოგადოებისგან და გულშემატკივრებისგან?***

— ველოდებით დადებით გამოხმაურებას. ჩვენი გამოკვლევის შედეგებიც ამას გვეუბნება. რეალურად, დიდი უმრავლესობა დაგვეთანხმა იმაში, რომ ეს ცვლილებები ნამდვილად კარგია. რაც შეეხება ფედერაციის ლოგოტიპს, ზოგადი ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, რომელიც ფეხბურთისა და ფედერაციის მიმართ არსებობს, ვფიქრობ, ნებისმიერი, თანამედროვეობისა და მოდერნიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯი მისასალმებელი უნდა იყოს. მითუმეტეს, ჩვენ ამ რებრენდინგს საზოგადოებას მოწყვეტილად არ ვთავაზობთ. სექტემბრიდან ფედერაციას ექნება ახალი საიტი, რომელიც იქნება რადიკალურად განსხვავებული — უფრო მობილური, უფრო თანამედროვე, უფრო ინფორმაციული, მეტად სახალისო; ისეთი, როგორიც ნებისმიერი ევროპული ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას დაამშვენებდა. ასე რომ, ამ ყველაფერს ჩვენ გულშემატკივარს კომპლექტაციაში შევთავაზებთ და ვფიქრობთ, ყველა ძალიან ბუნებრივად მიიღებს და ამ სიახლეების ინტეგრირება მოხდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვფიქრობ, არსებული ვარიანტებიდან ყველაზე საუკეთესო ლოგო ავირჩიეთ. ჩვენ ვფიქრობდით ლოგოს რევოლუციურ ან ევოლუციურ ვარიანტზე. საბოლოოდ კი, აქცენტი გავაკეთეთ ევოლუციაზე და არა რევოლუციაზე, რომელიც არ წყდება ძირითად ხაზს. ანუ არ გვინდა დავკარგოთ ის, რაც გვქონდა. მთელი ამ წლების განმავლობაში, ფეხბურთის ფედერაციამ რა ისტორიაც შექმნა, ეს ჩვენი ისტორიაა და მასზე უარი არ უნდა ვთქვათ, პირიქით.

მ. ჟ.

# მუცოს რეაბილიტაცია იწყება

ეკა ირემაშვილი

მუცოს სრული რეაბილიტაცია საქართველოს პრემიერ მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს დაიწყება. მუცოს მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა და მისი კედლები ეტაპობრივად ინგრევა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ მუცოს კომპლექსი არქიტექტორებთან ერთად უკვე მოინახულა. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუცოს რეაბილიტაცია ძეგლის რელიეფის, მდებარეობის და არსებული გარემოფაქტორების გათვალისწინებით, წლის ერთ-ერთი რთული და მასშტაბური პროექტი იქნება. მუცოში ვიზიტის დროს დაიგეგმა სამუშაო შესრულების გეგმა-გრაფიკი და მუცოს სრული აღდგენის მიზნით შესასრულებელი ეტაპები.

— მოსახლეობისგან მიტოვებული შუასუკუნეების ციხე-ქალაქი წლების განმავლობაში ინგრევა. ნაგებობების მდგომარეობა სამ კატეგორიად იყოფა, კატასტროფული, ავარიული და სტაბილური. 2008 წელს სახელმწიფოს დაკვეთით კომპანია „არსის" საექსპედიციო ჯგუფის მიერ შემუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის (ავტორი სოსო ბანძელაძე, სახელოვნებათმცოდნეო კვლევა მანანა სურამელაშვილი) შექმნიდან 6 წლის შემდეგ, მუცოს ცალკეული კოშკების ფიზიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია. ტიპოლოგიური თვალსაზრისით მუცოს ხუროთმოძღვრებაში სამი ძირითადი ნაგებობა გამოიყოფა: ციხე-სახლები, რომლებიც მთის არქიტექტურაში საყოველთაოდ გავრცელებულ გამაგრებული საცხოვრებლის მრავალფუნქციურ ტრადიციულ ტიპს განეკუთვნება; კოშკები, რომლებიც სათავდაცვო სისტემის განუყოფელი ნაწილია საზოგადოდ და აკლდამები, რომლებიც საქართველოში მხოლოდ პირიქითა ხევსურეთშია გავრცელებული და მუცოში დიდი სიმრავლითაა წარმოდგენილი. მუცო პირიქითა ხევსურეთის და ქვეყნის საზღვრის მცველი ურბანული კომპლექსია, ზღვის დონიდან 1880 მეტრზე. მდინარე არდოტისწყლის, არღუნის მარჯვენა შენაკადი, იგივე ანდაქის წყლის ხეობაში, მკაცრი და მაღალი სალკლდოვანი მთის სამხრეთის ფერდზეა გაშენებული. დასახლების ურბანული სტრუქტურა და ხუროთმოძღვრული სახე მთის ტრადიციული საზოგადოების თემურ-გვაროვნული ცხოვრების წესზე, რწმენა-წარმოდგენებზე, მეურნეობის მიმართულებებზე სუკეთესო წარმოდგენას ქმნის. ტიპოლოგიური თვალსაზრისით მუცოს ხუროთმოძღვრებაში სამი ძირითადი ნაგებობა გამოიყოფა: ციხე-სახლები, რომლებიც მთის არქიტექტურაში საყოველთაოდ გავრცელებულ გამაგრებული საცხოვრებლის მრავალფუნქციურ ტრადიციულ ტიპს განეკუთვნება; კოშკები, რომლებიც სათავდაცვო სისტემის განუყოფელი ნაწილია საზოგადოდ და აკლდამები, რომლებიც საქართველოში მხოლოდ პირიქითა ხევსურეთშია გავრცელებული და მუცოში დიდი სიმრავლითაა წარმოდგენილი. ხევსურების სხვა რეგიონებში გადასახლება ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და პროცესი XX საუკუნეშიც გაგრძელდა. საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1930-იან და 1950-იან წლებში გატარებული პოლიტიკის შედეგად, ხევსურეთის მკვიდრი მოსახლეობის ინტეგრაციის მიზნით მათ ბარად ჩამოსახლებას ნეგატიური სოციალური და ეკონომიკური შედეგები მოყვა, მეურნეობა მოიშალა, სოფლები დაიცალა, ხოლო მოვლა-პატრონობას მოკლებული შენობა-ნაგებობანი თანდათან დაზიანდა. ეს პროცესი მწვავედ შეეხო როგორც პირიქითა ხევსურეთს ასევე მუცოს. გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო ხევსურეთის მიტოვებულ რეგიონებში ცხოვრების აღორძინების მცდელობა, რომელმაც ასევე არ გამოიღო სათანადო შედეგი და არც მუცოს დაბრუნებია მოსახლეობა. დღეს, უკანასკნელი ოჯახიც, რომელიც აქ რამდენიმე წლის წინ ჯერ კიდევ ცხოვრობდა, მუცოდან წასულია. მუცო ადგილობრივი თემისგან საუკუნეზე მეტია მიტოვებულია, ამის მიუხედავად ისტორიული დასახლება დღემდე ინარჩუნებს თავის დამახასიათებელ სახეს, ურბანულ სტრუქტურას, ციხე-სახლებისა და კოშკებისგან შემდგარი კომპლექსის მთლიანობას და სიმკვრივეს. თუმცა დანაკარგებისა და ნგრევის მატება წლიდან წლამდე, ძალიან ნელა, მაგრამ არღვევს და აქვეითებს მუცოს მხატვრული ზემოქმედების ძალას. 1881 წელს გუსტავ რადეს არდოტის თემში, დიდი კავკასიის ჩრდილო ფერდობზე მდებარე სოფლების სტატისტიკურ მონაცემებში მუცუში საშუალოდ 5 სულისგან შემდგარი 20 კომლი აღურიცხავს. საკმაოდ დიდი ყოფილა მუცუ 1926 წლის სტატისტიკური აღწერის მიხედვითაც,



მაშინ აქ 31 კომლს, სულ 148 ადამიანს უცხოვრია. ამჯერად მუცოს მდგომარეობა მძიმეა და ის სასწრაფოდ შველას ითხოვს, — განაცხადა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ანთიძემ.

მისივე თქმით, მუცოს რეაბილიტაციისთვის ფიზიკური შემსრულებლის შესარჩევი პროცედურა უკვე დაწყებულია.

ნიკოლოზ ანთიძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი:

— საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამარტივებული საშუალებით ახორციელებს პირიქითა ხევსურეთის ციხე ნამოსახლარ მუცოს ნაგებობების სარეაბილიტაციოდ 2014 წელს გათვალისწინებული I ეტაპის სამუშაოების შესყიდვას. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 730.000 ლარს. სააგენტო შესყიდვის პროცედურაში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, რომლის მიერ წარმოსადგენი ინფორმაცია და დოკუმენტაცია აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებსა და პირობებს: სამუშაოების განხორციელების მსურველ პირს ან ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს კომპლექსური და მრავალკომპონენტიანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებისა და მისი მართვის გამოცდილება; პრეტენდენტს ბოლო 4 წლის მანძილზე შესრულებული უნდა ქონდეს მინიმუმ 3.000.000 ლარის ღირებულების სამუშაოები. ორგანიზაციის გამოცდილებად ჩაითვლება მხოლოდ, უშუალოდ ორგანიზაციის მიერ, მესამე პირთა დაკვეთით შესრულებული და არა ორგანიზაციაში დასაქმებული პირების მიერ სხვადასხვა პერიოდში მესამე პირთა დაკვეთით განხორციელებული სამუშაოები. ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს დამკვეთსა და შემსრულებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარების აქტების ასლების სახით. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია, სამუშაოებში მონაწილე ყველა პირის კვალიფიკაციის შესახებ, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შესასრულებელი სამუშაოების სახეობებსა და ამოცანებს. სამუშაოების შემსრულებელი ანუ მონაწილე სპეციალისტების თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს სივის სახით. პრეტენდენტის მიერ, წარმოდგენილი უნდა იქნეს სამუშაოების შესრულების კალენდარული გეგმა-გრაფიკი, რომელშიც სრულად უნდა აისახოს ამ ობიექტზე კონკრეტული სამუშაოების მიმდინარეობა და ერთმანეთისადმი თანხვედრა. პრეტენდენტის მიერ, განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმილი ვადები და თანმიმდევრობა შესაძლებლობას მისცემს შემსყიდველს, შეაფასოს თუ რამდენად აქვს პრეტენდენტს გააზრებული შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკა და სირთულეები, აგრეთვე დაგეგმილი სამუშაოების სარესტავრაციო მეთოდოლოგიასთან შესაბამისობა და სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია სამუშაოების ორგანიზაციის, ასევე მისი განხორციელებისათვის საჭირო მის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, დანადგარების და მანქანა-მექანიზმების შესახებ. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს სამუშაოების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ნათლად უნდა ასახავდეს პრეტენდენტის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, შესაძენი მასალისა და მომსახურების ჩამონათვალს ერთეულისა და საერთო ღირებულების მითითებით. ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იქნეს მოცემული ფორმის მიხედვით. პრეტენდენტი უფლებამოსილია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს წინადადება სამშენებლო მასალების კლდოვან რელიეფზე ვერტიკალური ტრანსპორტირების ალტერნატიული, უფრო ეფექტური მეთოდის შესახებ. დოკუმენტაციას 23 ივნისის ჩათვლით კულტურული მემკვიდრეობის დაცის ეროვნულ სააგენტოში მივიღებთ. პრეტენდენტის შერჩევა-შეფასება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი კომისიის მიერ, მოთხოვნილი კრიტერიუმების შეფასებით. პრეტენდენტის შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადგენილ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, ხოლო შემოთავაზებული ფასით უზრუნველყოფილი იქნება ტექნიკური პირობებითა და ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარისხისა და მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება.

# სალომე ბაკურაძე გათხოვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბაკურაძემ მეჯვარედ მომღერალი, ასევე ჯეოსტარელი თიკა მახალდიანი აირჩია. საქორწილო სუფრა რესტორან „ბარაკონში" გაიშალა, სადაც წყვილის უახლოესმა მეგობრებმა მოიყარეს თავი. მათ შორის, ქართული შოუბიზნესის ცნობილმა წარმომადგენლებმა, რომლებიც ქორწილში გადაღებულ ფოტოებს სოციალურ ქსელში ავრცელებდნენ და წყვილს გაბედნიერებას ულოცავდნენ.

სალომე ბაკურაძე არაერთ მუსიკალურ პროექტში იღებდა მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ მან „ჯეოსტარში" ვერ გაიმარჯვა და მეორე ადგილი დაიმსახურა, მუსიკალური გადაცემა „ბრავოს" გამარჯვებული გახდა და ავტომობილიც მოიგო. ამჯერად მომღერალმა ახალი ამპლუაც მოირგო და ლაშა ბასლანძესთან ერთად ოჯახური უღლის ზიდვას შეუდგა. სალომესა და ლაშას გაბედნიერება სოციალურ ქსელში უამრავმა ადამიანმა მიულოცა და მათ ბედნიერება და ერთად დიდხანს ყოფნა უსურვა.

# გურამ საღარაძის შემოქმედება ალბომში გაერთიანდება

ეკა ირემაშვილი

რუსთაველის თეატრის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის გურამ საღარაძის 85 წლის იუბილესთან მიძღვნილი შემოქმედების ამსახველი აუდიო-ვიდეო ალბომი გამოიცემა.

პროექტის ფარგლებში შეიკრიბება მსახიობის მაგნიტურ ლენტებზე შემორჩენილი მხატვრული კითხვის აუდიოვიდეოჩანაწერები, აღდგება, რესტავრირება და [illegible] თაობებს ამ სახით შეინახება შემსრულებლის შემოქმედების სრული აუდიოთეკა. გურამ საღარაძის სხვადასხვა დროს წაკითხული ქართული პროზისა და პოეზიის მარგალიტები 10 დისკზე გადანაწილდება.

პროექტი მიზნად ისახავს ქართული პოეზიის პოპულარიზაციასა და გურამ საღარაძის ცხოვრებისა და შემოქმედების [illegible] ახალი თაობის გაზრდას. ეს პროექტი ინიცირებულია შპს „[illegible]" მიერ და ხორციელდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში.

# თემურ ჩხეიძეს 14.000 ლარი გადაეცა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მსახიობმა ლელა ალიბეგაშვილმა რობერტ სტურუას მიერ თეატრში „ფაბრიკა" დადგმული სპექტაკლში „მარია კალასი. გაკვეთილი" მარია კალასის როლის შესრულებისთვის. ამავე ნომინაციაში წარდგენილი იყვნენ ბაია დვალიშვილი „ტარტიუფი" (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ბუბა გოგორიშვილი „მოჩვენებანი" თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი, ნიარა ჭიჭინაძე „ალუბლის ბაღი. რეპეტიცია" ფოთის ვ.გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, მაგდა ლებანიძე „ტროელი ქალები" (სამეფო უბნის თეატრი).

ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი მამაკაცი საუკეთესოდ აღიარეს გიორგი სურმავა ფოთის თეატრში რეჟისორ პაატა ციკოლიას მიერ დადგმული სპექტაკლისთვის „ჰოლლანდ ჰოლლანდ". ამავე ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ ალეკო მახარობლიშვილი „გრონჰოლმის მეთოდი" (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), ნიკოლოზ თავაძე „გრონჰოლმის მეთოდი" (კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი), გია აბესალაშვილი „მაცეკვე ტანგო" (მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო თეატრი), გია [illegible] „ანტიგონე" ([illegible] თეატრი).

ნომინაციაში საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი საუკეთესოდ დასახელდა დავით გაბუნია პიესისთვის „ჰოლლანდ ჰოლლანდ", რომელიც რეჟისორმა პაატა ციკოლიამ ფოთის თეატრში დადგა. ამავე ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ ნინო მირზიაშვილი „მაცეკვე ტანგო" (მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა პროფესიული განვითარების სახელმწიფო თეატრი), ლაშა ბუღაძე „ქეთათო" (თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი).

ნომინაციაში საუკეთესო სცენოგრაფი გამარჯვა თეო კუხიანიძემ ქუთაისის თეატრში დადგმული სპექტაკლით „მაკბეტი". ამავე ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ ლევან ოჩხიკიძე „მოჩვენებანი" (თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი), ქეთი ნადიბაიძე „ჰოლლანდ ჰოლლანდ" (ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი).

ნომინაციაში საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი საუკეთესოდ დასახელდა დათა თავაძე სამეფო უბნის თეატრში დადგმული სპექტაკლისთვის „ტროელი ქალები". მასთან ერთად ამ ნომინაციაში წარდგენილნი იყვნენ მიშა ჩარკვიანი „მოჩვენებანი" (თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის სახელმწიფო თეატრი), ვანო ხუციშვილი „მაკბეტი" (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრი).

**დათა თავაძემ განაცხადა:**

— არ მოვიტყუები და ვიტყვი, რომ მოლოდინი, რასაკვირველია მქონდა, რომ აღმოვჩნდებოდი მოკლე ნუსხაში. რაც შეეხება ჯილდოს აღებას, ამაზე განსაკუთრებული მოლოდინი არ მქონია, იმის გამო, რომ ძალიან კარგი სპექტაკლები აღმოჩნდა ახალგაზრდა რეჟისორის ნომინაციაში. ისინი ჩემი მეგობრები არიან, თანაც ძალიან ნიჭიერი რეჟისორები და მათი წარმატება ზუსტად ისევე გამიხარდება, როგორც საკუთარი. რაც შეეხება მეორე ნომინაციას, როცა რობერტ სტურუას და თემურ ჩხეიძის გვერდით ხარ წარდგენილი, [illegible]

***— როგორი შეგრძნებაა, როცა თემურ ჩხეიძის კონკურენტი ხარ, თქვენ ხომ [illegible] წარმომადგენელი ხართ?***

— [illegible]

## TV პროგრამა

ორშაბათი 16 ივნისი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **არგენტინა-ბოსნია** (გ/ჩვ) 17.00 "ქართული ჯარი" 17.30 "სოციალური თოქ-შოუ" 19.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **გერმანია-პორტუგალია** (პ/რეპ) 22.00 "ბრაზილია – 2014" (პ/რეპ) 22.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **ირანი-ნიგერია** (პ/რეპ) 01.00 "ბრაზილია – 2014" მე-10 გადაცემა (პ/რეპ) 01.50 **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი: **განა – აშშ** (პ/რეპ)

08.00 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"-"ბანგკოკი" 09.00 მხ/ფ "**ფანტოცი სამოთხეში**" 11.00 დ/ფ "ლურჯი დუნაი გარეული ცხენები" 12.00 მხ/ფ "**დროში მოგზაურის ცოლი**" (ე. ბრანა) 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ცხოვრებისეული რეცეპტი**" 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" – "თავისუფალი დემოკრატები" (პ/ე) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ბედის ანაბარა**" 11.20, 12.05 სერ. "**შურისმაძიებელი**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.50, 15.05, 16.03 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.50, 19.05 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 21.00 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 მხ/ფ "**განდგომილები**" 00.45 მხ/ფ "**მეომარი**"(ჯ.რუსო) 02.30 მხ/ფ "**წინასწარმეტყველი**"

06.30 სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**საპრა**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**ქალბატონი დილა**" 22.00 X - ფაქტორი 00.00 სპორტ ტაიმი 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ. 04.00 სერ. "**არ დამივიწყო**"

08.00 GDS დილა 10.00, 19.00 **სერიალი "ლენა"** 11.00 TOP 10 12.00 შუადღე GDS-ზე 14.00 ჯიდიპედია 15.00, 21.00 **სერიალი "ზემოქმედება"** 16.00 დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" 16.30, 17.30, 20.30 მინიპედია 16.45, 17.45, 20.45 ქვიშის ზღაპრები 17.00 ვარსკვლავების ცხოვრება 18.00 დ/ფ 20.00 ტყუილის გარეშე 22.00 მხ/ფ 00.25 მუსიკა

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.45 მხ/ფ "**ცისკარა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ცისფერი მთები**" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდ ხარ შენ, უფალო 15.20 სპექტაკლი - "**ბამბაზიის სამოთხე**" ქუფაისის თეატრი. 18.05 განთიადის სტუმარი 18.35 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**მალე გაზაფხული მოვა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 პატერიკი 21.25 სახლი ღვთისა 21.40 "თვენი" ღირსი მამა ილარიონ ქართველი 22.25 დ/ფ"მოციქულთა თავნი პეტრე და პავლე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დ/ფ "უფლის ჯარისკაცები" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.25 მულტფილმი 7.50 სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) 8.25 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 8.45, 17.45, 22.00, 2.00 "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან 9.00, 12.00, 15.00, 18.00 მაესტრო 9.00, 12.00, 15.00, 18.00 ახალი ამბები 9.30, 12.30, 1.20 ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე 9.50 პრესის მიმოხილვა 10.00, 11.00, 16.00, 17.00, 19.00, ამბები მოკლედ 10.02, 11.03 სერიალი **სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 11.50, 15.45 პრესის მიმოხილვა 13.00 იმედის ფსონი 14.00 [illegible] ("შუადღის შოუ") პ/ე 16.02, 17.02 **სერიალი "დაკარგული ქალაქი"** 18.25, 2.15, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) 19.02 **სერიალი "თანაარსებობა"** 20.00, 2.50 "ინფოქტი" 20.05 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტრო "ცხრიანი" პ/ე 22.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30, **სერიალი "საიდუმლო"** 0.30 დოკ.ფ. "გზა ბრაზილიისკენ"

[illegible]

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 ივნისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7695

ევრო — 2.3994

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0007

100 რუსული რუბლი — 5.1555

## ამინდის პროგნოზი 16 ივნისისთვის




## 16 ივნისიდან ამერიკული ზღაპრები; 17 ივნისიდან ჩეხური ზღაპრები; 18 ივნისიდან ბრაზილიური ზღაპრები; 19 ივნისიდან ფრანგული ზღაპრები. ფასი ახალ თაობასთან“ ერთად — 2 ლარი

·დცჯფვ უფბსლფჟბცობყცს=



საინტერესო დღეა

**ვერძი** – გელით სიახლე და კარგი ამბები! **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემას მოევლება. **ტყუპები** – იაქტიურეთ, ჩრდილში ყოფნის დრო არ არის. **კირჩხიბი** – ახალი საქმე დაგაინტერესებთ, ფოლიც გექნებათ. **ლომი** – დიდძალი ქონების პატრონი გახდებით, თავში არ აგივარდეთ. **ქალწული** – ბევრი საქმე გაქვთ და ცოტა დრო გრჩებათ საკუთარი თავისთვის. **სასწორი** – არ აყვეთ პროვოკაციას! **ღრიანკალი** – თავდაჯერებული ხართ, ასე განაგრძეთ. **მშვილდოსანი** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** – თქვენი საქმე კარგად აეწყობა, ახალ ბიზნესსაც წამოიწყებთ. **მერწყული** – ფიქრებში ხართ, ჩამოდით მიწაზე! **თევზები** – დროდადრო ცუდ ხასიათზე ხართ, გამხიარულდით, ახლა თქვენი დროა! უბცე3ღტ,ს ,ტცყბტ3 ღქტს=

h3xცღx3ცბ

**თარაზულად:** 6. ზღვის ხრტილოვანი თევზი; 7. მოღალატე, განდგომილი; 8. მნათი სტრიქონები ტელევიზორის ეკრანზე; 10. გერმანული ავტომობილი; 11. ქამა სოკო; 13. შრომის ფულადი გასამრჯელო; 16. შესანახად მოდუღებული ყურძნის წვენი; 19. ხელსაყრელ პირობათა ერთობლიობა; 20. სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებული.

**შვეულად:** 1. ურანის თანამგზავრი; 2. უქოჩრო თუთიყუში; 3. ამერიკული სამეჯლისო ცეკვა; 4. ძველბერძენი დრამატურგი (448-397 წწ.); 5. თვითმფრინავის კორპუსი; 9. ოფიცრის წოდება არმიაში; 12. იტალიური კოქტეილი; 14. ძე, რომელმაც დედა მოკლა (ბერძნული ეპოსი); 15. ნაოსნობისთვის სახიფათო წყალქვეშა კლდე; 17. აშშ-ის მუსიკალური პრემია; 18. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





## ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო“ უებარი წამალია



„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge


## რატომ არ დატოვა ცეკვავენ ვარსკვლავები“ მიშა მესხმა?

ეკა ირემაშვილი

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეოთხე სეზონის ბოლო ტურში მიშა მესხმა ყველაზე ცოტა ესემესი მიიღო და პროექტიდან გავარდა, თუმცა მსახიობი მომავალ ტურში ჯულიანა ბარგ ნართან ერთად ისევ იცეკვებს. ამის მიზეზი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პროდიუსერის ნოე სულაბერიძის გადაწყვეტილება გახდა.

ქართული ცეკვების ტურში აუთსაიდერებად მაყურებელმა მომღერალ თი ელისა და მზია ორველაშვილის წყვილი მსახიობ მიშა მესხისა და ჯულიანა ბარგ ნარის წყვილს დაუპირისპირა. აუთსაიდერი წყვილებისთვის განკუთვნილ ერთ წუთში მიღებული ესემესების დათვლის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ შემდეგ ტურში მიშა მესხი და ჯულიანა ბარგ ნარი აღარ იცეკვებდნენ, თუმცა ნოე სულაბერიძე ჟიურის წევრებთან შეთანხმებით მივიდა დასკვნამდე, რომ პროექტში გამოეყენებინათ ვეტოს უფლება და მიშა მესხისა და ჯულიანა ბარგ ნარის წყვილი პროექტში დაეტოვებინათ.

ეს გადაწყვეტილება შეკრებილ საზოგადოებას ჟიურის ერთ-ერთმა ყველაზე მკაცრმა წევრმა გოჩა ჩერტკოევმა გააცნო. პროდიუსერისა და ჟიურის ერთობლივი გადაწყვეტილების გაჟღერებით გახარებული მიშა მესხი გოჩა ჩერტკოევს ზურგზე შეახტა.



თუმცა სიურპრიზები და მოულოდნელობები ამით არ დასრულებულა. მომღერალმა ანრი ჯოხაძემ, რომელიც ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის სახეა, მიშასა და ჯულიანას ორი საგზური გადასცა საქველმოქმედო მოგზაურობაზე, რომელიც 4 ივლისს გაიმართება. ანრის თქმით, ყოველი გაყიდული საგზურიდან თანხა გადაირიცხება სიმსივნით დაავადებულ ბავშვთა ფონდში. ამ ამბავმა მიშა მესხი არანაკლებად გაახარა და მსახიობი ახლა ანრის შეახტა ზურგზე.

მომავალ საკონკურსო ტურში „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წყვილები ისევ იმ რაოდენობით გამოვლენ სცენაზე და მაყურებლისთვის ისევ იცეკვებენ. თუმცა როგორც პროექტის ერთ-ერთმა წამყვანმა დუტა სხირტლაძემ განაცხადა, ვეტოს გამოყენების უფლება პროდიუსერსა და ჟიურის მხოლოდ ერთხელ აქვს, ამიტომ შემდგომ ტურებში მათ მონაწილეების გადარჩენის და პროექტში დატოვების უფლება აღარ ექნებათ, ამიტომ ყველამ თავის ფავორიტ წყვილს მთელი კვირის განმავლობაში ესემესები აქტიურად უნდა გაუგზავნოს.

## თემურ ჩხეიძეს 14.000 ლარი გადაეცა

ეკა ირემაშვილი

რეჟისორ თემურ ჩხეიძეს 14.000 ლარი გადაეცა. მაესტრომ ეს ჯილდო თეატრალური პრემია „დურუჯის“ ნომინაციაში „საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი“ მიიღო მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული სპექტაკლისთვის „გრონჰოლმის მეთოდი“. ამავე ნომინაციაში დასახელდნენ რობერტ სტურუა თეატრში „ფაბრიკა“ განხორციელებული სპექტაკლით „მარია კალასი. გაკვეთილი“, დავით მღებრიშვილი ფოთის თეატრში დადგმული სპექტაკლით „ალუბლის ბაღი. რეპეტიცია“, ივანე ხუციშვილი უქთაისის თეატრში დადგმული სპექტაკლით „მაკბეტი“ და დათა თავაძე სამეფო უბნის თეატრში დადგმული სპექტაკლით „ტროელი ქალები“.

წლევანდელი ნომინანტების მოკლე ნუსხა დაჯილდოების ცერემონიალამდე 10 დღით ადრე გახდა ცნობილი. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ყვარელში მარჯანიშვილების სახლმუზეუმში ჩატარდა. წელს ამ პრემიაზე საქართველოს 19-მა თეატრმა წარადგინა 37 განაცხადი. „დურუჯის“ სპეციალურმა ჟიურიმ, რომელთა ვინაობა ბოლომდე გასაიდუმლოებული დარჩა, უკვე ნახა წარდგენილი სპექტაკლები და მათგან საუკეთესოებიც დაასახელა და ისინი ავტომატურად თეატრალური პრემიის მოკლე ნუსხის ჩამონათვალში მოხვდნენ. პრემია „დურუჯის“ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება. პრემიის პრეტენდენტის წარდგენა შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებულ ყველა სახელმწიფო ან კერძო პროფესიულ თეატრს, გარდა სახალხო თეატრებისა.



— დურუჯი წლევანდელ ლოგიკურ ფინალს მიუახლოვდა — ნიშნულს, სადაც მონაწილეთა მღელვარებამ მაქსიმუმს მიაღწია და ყველა მოუთმენლად ელოდა მოკლე ნუსხაში მოხვედრილი კანდიდატების დასახელებას. უკლებლივ ყველა კანდიდატს წარმატება ვუსურვე და იმედი გამოვთქვი, რომ წლევანდელი დაჯილდოების ცერემონია სასიამოვნო სიახლეებით და ბევრი დადებითი ემოციით იქნებოდა აღსავსე. რამდენადაც ჟიურის ბოლო დისკუსიის შედეგებიდან ვიცოდი, წლევანდელ მოკლე ნუსხაში არაერთი სიურპრიზი გველოდა, — განაცხადა „დურუჯის“ დამფუძნებელმა ლაშა პაპაშვილმა.

თეატრალური პრემიის „მოკლე ნუსხა“ შედგა პრემიის თითოეული ნომინაციისთვის საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი; საუკეთესო მსახიობი ქალი; საუკეთესო მსახიობი მამაკაცი; სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო თანამედროვე ქართული პიესის ავტორი; საუკეთესო სცენოგრაფი; საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი. თეატრალური პრემია „დურუჯი“ თითოეულ ნომინაციაში ფულადი პრემიებიც არის დაწესებული. საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევარი იღებს 14.000 ლარს, საუკეთესო მსახიობი ქალი 2.000 ლარს, საუკეთესო მსახიობი მამაკაცი 2.000 ლარს, საუკეთესო სცენოგრაფი 2.000 ლარს, სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი 2.000 ლარს. ასევე ჟიურიმ გამოავლინა საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი, რომელმაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი 10.000 ლარი მიიღო. ეს თანხა გამარჯვებულს მომავალ სეზონში სპექტაკლის დასადგმელად გადაეცა. ამ ნომინაციაზე წარდგენილი რეჟისორის ასაკი 35 წელს არ უნდა აღემატებოდეს.

ნომინაციაში საუკეთესო მსახიობი ქალი გამარჯვება მოიპოვა რუსთაველის თეატრის

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ქეთი მელუა თბილისშია

ეკა ირემაშვილი

ბრიტანეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი ქეთი მელუა თბილისშია. ის დედაქალაქს პროექტის „იქს ფაქტორი“ პროდიუსერების მოწვევით ესტუმრა. დიდი ბრიტანეთის დედოფლის ერთ-ერთმა საყვარელმა მომღერალმა „იქს ფაქტორში“ დარჩენილი კონკურსანტებისთვის ფუნიკულიორის რესტორანში უკვე ჩაატარა მასტერკლასი და ორშაბათს „იქს ფაქტორის“ ჟიურის მეხუთე წევრიც გახდება.



საპატიო სტატუსით მოწვეული მომღერალი კონკურსანტების გამოსვლებს „იქს ფაქტორის“ რიგით მეოთხე ლაივ კონცერტზე შეაფასებს და დიდ საკონცერტო დარბაზში შეკრებილ მსმენელს თავის მუსიკალურ კომპოზიციებსაც უმღერებს.

ქეთი მელუათი აღფრთოვანდნენ კონკურსანტები და მასთან ერთად გადაღებული ფოტოები სოციალურ ქსელშიც ატვირთეს. როგორც მომღერალმა აღნიშნა, გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, მან მოიცალა და რამდენიმე დღით მშობლიურ ქვეყანას ეწვია.

ქართველ მომღერალს ზაფხულის დადგომის მიუხედავად, კონცერტები უკვე დაგეგმილი აქვს. პერფორმანსით წარმოდგენილი კონცერტები ცოცხალი ბენდის თანხლებით ესპანეთის ქალაქებში გაიმართება. 20 ივლისს ქეთი მელუა ვალადოლიდში იმღერებს, 22 ივლისს მადრიდში და 23 ივლისს ბარსელონაში. ქეთი მელუა ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ახალგაზრდა შემსრულებელია. მისი ალბომები დიდი ტირაჟით იყიდება და მსმენელი ყოველთვის ახალი კომპოზიციების მოლოდინშია. კარიერულ წინსვლაში მას მეუღლე ჯეიმს ტოუხლენდიც აქტიურად ეხმარება, რომელიც მოტომრბოლელია, თუმცა თვითონაც უკრავს მუსიკას და თავისი ბენდიც ჰყავს. ქეთი მელუამ ბოლო ალბომი გასული წლის შემოდგომაზე გამოუშვა და მას „ქეთევანი“ დაარქვა.

## სალომე ბაკურაძე გათხოვდა

ეკა ირემაშვილი



ჯეოსტარელი სალომე ბაკურაძე გათხოვდა. მან ბედი ლაშა ბასლანძეს დაუკავშირა, რომელიც ტელეკომპანია „ჯიდიესში“ ლოკაციის მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობს. მომღერალს არასდროს უყვარდა პირად თემებზე საუბარი და ჟურნალისტების მიერ ამ თემაზე დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას ყოველთვის თავს არიდებდა.

წყვილმა ჯვარი პატარა სამებაში დაიწერა, სალომე

გაგრძელება მე-11 გვერდზე